# ტალღა

თფილისი

პარასკევი, 10 (22) ნოემბერი.

1906

წლიწადი პირველი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

21 — ყოველ-დღიური გაზეთი. № 21


დასჭრეს გენ. გოლომშტოკი; დასჭრეს ბერნდტი.—სამხ.-საველე სასამართლომ დახვრეტა გადაუწყვიტა ორ კაცს.—სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა კაეეში ორ კაცს.—სამხედრო-საველე სამართალში მისცეს ადესაში ერთი მძარცველი, მოსკოვში ორი, სამხ.-საველე სასამართლო შემოიღეს თერგის ოლქში.—სმოლენსკში კადეტების კრებას პოლიცია თავს დასხმია.—პრემიერ მინისტრი კუტლერს ეკამათება.—თავს დასხმა და გამარცვა: ჩიგირინში, ადესაში, პოლტავაში, ჩერნიგოვში და სხ.


30 ივლისიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ტ ა ლ ღ ა“**

ხელის-მოწერა მიიღება **მხოლოდ რედაქციის კანტორაში**—კრასნოგორის ქუჩაზე, სახლი № 3—დილის 10—2 საათ., საღამოს 5—7 საათ. კვირა უქმე დღეებში კი 10—12 საათამდე.

**გაზეთის ფასი:** ერთი თვით—ქალაქში 75 კ., პროვინციაში—90 კ., წლის ბოლომდის 1 მ. 50 კ.

რედაქცია დაუბეჭდავ წერილებს არ ინახავს, თუ ავტორი განსაკუთრებით ამას არ ითხოვს; წერილობითი პასუხისათვის საჭიროა 7 კაპ. მარკა.

დაუბეჭდავი წერილების და სხვა სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, დილის 11—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ., კვირა-უქმეობით 11—12 საათ.

განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., მეოთხე გვერდზე სტრიქონი 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ТАЛГА“.


**„ტალღის“** რედაქცია სთხოვს საზოგადოებათ და დაწესებულებებს აგზავნონ ხოლმე რედაქციაში უწყებები თავიანთ სხდომებზე და კრებებზე დასასწრებლათ.


**ავლაბრის თეატრი**

კვირას, 12 ნოემბერს, თფილისის დრამატიულ დასის ახალ-გაზრდა არტისტების ამხანაგობისაგან წარმოდგენილი იქნება:

**ექიმი შტოკმანი**

ანუ

**ხალხის მტერი**

დრამა 5 მოქ., იბსენისა, თარ. პოლუმორდვინოვისა ექიმი შტოკმანის როლს გამოსაცდელად ასრულებს **დ. ჩარკვიანი.**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დ. ივანიძე—ჩარკვიანისა, ო. ლეჟავა, ვ. ნებიერიძისა, ლ. მარგველაშვილი და ბბ. დ. ჩარკვიანი, ნ. გოცირიძე, ი. ივანიძე, პ. ბოლქვაშვილი, ზ. საფაროვი, ა. ყიფლაბეგიშვილი და ჩაგუნავა და სხვანი.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია**

დასაწყისი **დილის** თორმეტნახევარ საათზე.

დ. ახალ-სენაკში

გაიხსნა წიგნების მაღაზია

**„სინათლე“.**

იყიდება სამღრთო და სამასწავლებლო წიგნები. ვასრულებთ ყოველგვარი წიგნების გამოწერას. (3—1)


**ბოიკოტის ტაქტიკის დამარცხება**

—

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ბევრი კერპი დასცა ძირს, ბევრ ავტორიტეტს ჩამოხადა რიდე, ბევრი ცრუმორწმუნეობა გააქარწყლა, ბევრი ცრუ აზრი დაასამარა. ამ უკანასკნელ დროს დავიწყებას მიცემულ ცრუ აზრებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტის ტაქტიკას.

ამ ჟამათ საბოლოოთ გამოირკვა, რომ არც ერთი მემარცხენე პარტია აღარ დაადგება ბოიკოტის ტაქტიკას. შარშანდელ ბოიკოტის მეთაურნი—„ბოლშევიკები“—წელს ერთხმათ ალიარებენ, სასურველია არჩევნებში მონაწილეობა მივიღოთო. „ბუნდი“, რომელმაც წარსულ არჩევნებში საშველიდ დისციპლინით ჩაატარა სათათბიროს ბოიკოტი, დღეს ცხარე მონაწილეობას იღებს არჩევნებში. ეს-ერები, რომლებიც შარშან ქადაგებდენ, უნდა საარჩევნო დარბაზებში შევცვივდეთ და საარჩევნო ყუთები დავლეწოთო, ეხლა ბოიკოტის ტაქტიკას უარყოფენ; „პოლონეთის და ლიტვის სოც.-დემ. მ. პ.“, რომელიც აქტიურ ბოიკოტს საქმეზე ახორციელებდა, ამჟამათ „ბუნდს“ უკავშირდება საარჩევნო კამპანიის გასაძლოლათ. ერთი სიტყვით, არ არის არც ერთი უკიდურესი მემარცხენე პარტია (გარდა ცხად ან მალულ ანარქისტებისა), რომ საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობაზე უარს ამბობდეს. სულყველანი ამ კამპანიის დიდს მნიშვნელობას აწერენ, სულყველანი ცდილობენ საარჩევნო კამპანია თავის სასარგებლოთ გამოიყენოს.

რა იყო? რა მოხდა? რამ გადაარჩულა შარშანდელი ბოიკოტისტები? რამ აიძულა ისინი ბოიკოტის ტაქტიკაზე ხელი აიღონ? ან იქნება გარემოებები იმგვარათ შეიცვალა, რომ უწინდელი ტაქტიკა აღარ გამოდგება?

დიახ, შარშანს აქეთ გარემოებები ძალიან შეიცვალა, მაგრამ სულ სხვა მხრივ. უმთავრესი არგუმენტი, რომლითაც წარსულ წელს ბოიკოტის საჭიროებას ასაბუთებდენ, ის იყო, რომ საარჩევნო წესები მეტის მეტათ ხულიგანურიაო, რომ ამ წესზე არჩეულს წარმომადგენელს ხალხთან საერთო არა ექნება რაო, რომ წარმომადგენლებათ მხოლოდ ისეთები გავლენ, ვისაც ხალხის ჭირ-ვარამისა არა ესმის რა და ვინც მყვლეფელების სარგებლობას თუ დაიცავსო. მრავალ სტატისტიკურ ციფრების, მათემატიკურ გამოანგარიშების საშუალებით „ბოლშევიკები“ (მაგ. ორლოვსკი) ამტკიცებდენ, შეუძლებელია დუმაში მუშათა წარმომადგენლები გავიდენო. რაკი საარჩევნო კანონები მხოლოდ ხალხის მტრებს შეუშვებს სათათბიროში, მაშ ძირს ასეთი შავრაზმული სათათბირო! მაშ ნუ მივცემთ მთავრობას ნებას სათათბიროს ფალსიფიკაცია მოახდინოს და ხალხი მოატყუოს! ბოიკოტი სათათბიროს! ბოიკოტი არჩევნებს!—აი, რა ლოღიკური მოსაზრება აიძულებდა მემარცხენე პარტიებს ბოიკოტის ტაქტიკას დასდგომოდენ. საარჩევნო კანონების უვარგისობა, იმის შიში, ვაი თუ ამ კანონებმა მხოლოდ ხალხის მტრები შეუშვან დუმაშიო—აი ის გარემოებები, რომლებმაც გადამჭრელი გავლენა იქონიეს ბოიკოტის ტაქტიკის ამორჩევაზე.

ეს გარემოებები შარშანდელს აქეთ თვალსაჩინოთ გაუარესდა. თუ წარსულ წლის საარჩევნო კანონები მუშებს ნებას აძლევდა მოქალაქეთა კურიაში მიეღოთ მონაწილეობა, წელს მათ ეს აეკრძალათ. თუ შარშან ღარიბ მოქალაქეებს (უსამზარეულო ოთახების დამქირავებლებს) შეეძლო კენჭის ჩაგდება, წელს მარტო მდიდარ მეოჯახეებს აქვთ მაგის ნება. თუ შარშან ღარიბ გლეხკაცებსაც შეეძლოთ სოფლის არჩევნებში მონაწილეობა, წელს ეს მათ აეკრძალათ. ერთი სიტყვით, წრევანდელი საარჩევნო წესები შარშანდელზე გაცილებით შემავიწროებელია. მაშ თუ წარსულ წელს გვეშინოდა არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, წელს ამ შიშს გაცილებით მეტი საფუძველი აქვს. მაშ რათ აკვეთეს წელს ბოიკოტი? რათ იღებენ არჩევნებში მონაწილეობას შარშანდელი ბოიკოტისტები?

ტყუილათ არ უყვარს ლენინს ხშირათ გამეორება: „რევოლიუცია ასწავლისო“! უეჭველია, რევოლიუციის გაკვეთილები მან ყველაზე ეწვავეთ გამოსცადა თავის თავზე. რევოლიუციამ გამოაშკარავა, რომ ბოიკოტისტების ტაქტიკა თავიდანვე შემცდარ საძირკველზე იყო აგებული. ბოიკოტისტების შეხედულება რევოლიუციაზე წმინდა ბლანკისტური იყო: მათ ძვალსა და რბილში ქონდათ გამჯდარი ის აზრი, რომ რევოლიუციას პარტიული ორგანიზაციები აკეთებენო; მათ საქმე ისე ქონდათ წარმოდგენილი, რომ რასაც რევოლიუციონური ორგანიზაციები დაადგენენ, მთელი მასსა, როგორც ამ ორგანიზაციების მორჩილი ფარა, მათ დადგენილებით გაიმსჭვალებიან და მათ უკან მიყვებიანო. ამნაირ საფუძველზე იყო (და ეხლაც არის) აშენებული ჩვენი ბოლშევიკების შეხედულება ისტორიულ მსვლელობაზე. ეს შეხედულებავე საფუძვლათ დაედვა ბოიკოტისტების ტაქტიკას.

ბოიკოტისტებს საქმე ასე ქონდათ წარმოდგენილი: ჩვენი ორგანიზაცია დაადგენს, რომ არსებულ საარჩევნო წესებით არჩეული სათათბირო ხალხისთვის მავნებელი იქნება, ხალხი ამას შეიგნებს და არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს. ამნაირათ მთავრობა ცარიელზე დარჩება და ვეღარ შესძლებს ხალხის წარმომადგენლობის ფალსიფიკაციასო.

რევოლიუციამ გააქარწყლა ეს უტოპიური შეხედულება ისტორიულ მსვლელობაზე. რევოლიუციამ დაანახა ჩვენ ბოიკოტისტებს, რომ რევოლიუციურ ორგანიზაციებს არც თუ ისე დიდი ძალა ქონია, რომ მასსას ყოველი თავისი დადგენილება მოახვიოს; რევოლიუციამ ყველას დაანახა, რომ ხალხის მასსას ქონია თავისი საკუთარი ლოღიკა, თავისი საკუთარი სურვილები და თავისი საკუთარი მოქმედების ინიციატივა; რომ ორგანიზაციები არც თუ ისე ყოვლის შემძლენი ყოფილან, რომ, პირიქით, მასსას ქონია გადამჭრელი ხმა ისტორიულ შემოქმედებაში. „რევოლიუციამ გვასწავლა“, რომ, როგორც ამბობს კაუცკი, **ისტორიას აკეთებენ არა ორგანიზაციები, არამედ ხალხის მასსა.**

ამნაირია ის გაკვეთილი, რომლითაც რევოლიუციამ აიძულა ბოიკოტისტები თავიანთი ტაქტიკა შეეცვალათ.

---

**ნაციონალური რევოლიუცია და დღევანდელი ჩვენი საკითხები**

(თარგმანი „ს.-დ“. იდან)

თითქმის ორი წელიწადია, რაც მოქალაქობრივი ომი მძვინვარებს და თვალსაჩინო შედეგი კი ჯერ არსად ჩანს. იგივე ანარქია, იგივე აზიური დესპოტიზმი მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს ანარქია დღეს უფრო მწვავეა და დესპოტიზმი უფრო ბარბაროსული.

შიშით გონება დაკარგულნი გაიძახიან; რევოლიუციამაც და რეაქციამაც ცხად ჰყო, რომ ერთიც და მეორეც უძლურია და მომავალი მხოლოდ ზომიერი პარტიებს ეკუთვნის.

ამ გონება დაკარგულებს გონ აი, რომ ორი წლის განმავლობაში არაფერი შეცვლილა: წინეთ იყო თვითმპყრობელობა, შემდეგ კონსტიტუცია, დღეს კი იგივე თვითმპყრობელობაა; იგინი ვერ ხედვენ, რომ ამ ორი წლის განმავლობაში უდიდესი და ძირითადი ცვლილება მოხდა ხალხის თვითცნობიერებაში, ვერ ხედვენ, რომ ორი წლის მოქალაქობრივმა ომმა ნაციონალურ რევოლიუციამდე მიგვიყვანა. მოვიგონოთ ის წერტილი, საიდანაც მოდის ნერგებს დღევანდელი რევოლიუცია. პლევეს დროს რევოლიუცია მალულად არსებობდა ინტელიგენტთა ფარულ წრეებში და პროლეტარიატის უფრო შეგნებულ ნაწილში. იმ დროს მხოლოდ სოციალდემოკრატიას ქონდა ნათლათ წარმოდგენილი რევოლიუციის ხასიათი და ამბობდა კიდეც: ჩვენ ბურჟუაზიული რევოლიუციის ხანაში ვართო. მას შემდეგ მასსა ძალზედ გამოიხარშა რევოლიუციის ქვაბში და ეს იდეა მთელი ერის კუთვნილებათ გახდა. თუ სტუდენტების მოძრაობას არ მივიღებთ სახეში, იმ დროს რევოლიუციონური დემოკრატიული ბურჟუაზია ჯერ კიდევ არ არსებობდა. ინტელიგენტურ დემოკრატიის მესამე ელემენტის სახით ლიბერალები მიათრევდენ, ლიბერალები კი ერობებში მოფარფაში მებატონეებს მიჩანჩალებდენ უკან. რევოლიუციამ განწყვიტა ეს ჯაჭვი და დემოკრატიული ელემენტები მარცხნივ დააქანა; ლიბერალიზმი მიწათმფლობელთა ტვირთისაგან გაანთავისუფლა, მებატონეებს რეაქციის ბანაკში შერეკა, ლიბერალიზმს ინტელიგენტური დემოკრატიის საკმაოდ დიდი ნაწილი მოსწყვიტა, გააძლიერა შისი რაზმები, შეაკავშირა იგი უფრო მჭიდროთ და თავისი ძლიერი ტალღებით გაიტაცა. აქ საკმაოა მოვიგონოთ რკინის გზის კავშირის ისტორია. მაგრამ ამით სრულიადაც არ დასრულებულა ბურჟუაზიული დემოკრატიის გარდაქმნა. როდესაც დუმა შეიკრიბა, როდესაც კადეტების პარტია ნაციონალურ ოპოზიციის შუა-გულში მოექცა, რადგან რევოლიუციური დემოკრატია ბოიკოტის ტაქტიკას დაადგა, მთელმა ხალხმა თვალსაჩინოთ დაინახა ლიბერალური ილიუზიების სრული ამაოება. დუმის ცდამ ცხადად დაამტკიცა, რომ სწორეთ მანილოვებს შეუძლიათ იოცნებონ, ვითომც რუსეთში ურევოლიუციოთაც მშვიდობიანის გზით, შეიძლებოდეს პარლამენტარული წყობილების დამყარება. კადეტების განცხრომის დასაწყისი მათი პოლიტიკის გაკოტრების მომასწავებელი იყო, ამიტომაც მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში მათ კვლავ მოსწყდება ახალი ელემენტები და რევოლიუციონურ დემოკრატიას შეუერთდება.

რევოლიუციის დასაწყისში არც გლეხკაცობის მოძრაობა ჩნდა, როგორც პოლიტიკური მოძრაობა. გლეხები მაშინაც ყველგან ებრძოდენ მებატონეებს მიწის გამო. მაგრამ მაშინ გლეხებს არ ქონდათ შეგნებული, თუ რა დამოკიდებულება არსებობს აგრარულ მოთხოვნებსა და ქვეყნის პოლიტიკურ ბედ-იღბალს შორის, ამიტომაც გლეხობას ძველებურათ მეფის იმედი ქონდა. ჯერ კიდევ დუმის არჩევნების დროს გლეხკაცობის უმეტესობა თავიანთ ამორჩეულებს მეტ ნდობას უცხადებენ როგორც გლეხთა წოდების წევრებს, ვინემ როგორც განსაზღვრულ პოლიტიკურ იდეების წარმომადგენლებს. რევოლიუციამ შეუბრალებლად გააქარწყლა გლეხების საუკუნოებით შეთვისებული ილიუზიები მეფის შესახებ; რევოლიუციამ მოქალაქეებათ აქცია გლეხები და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩააბა. თუ 1905 წელს გლეხთა კავშირმა ასი-ათასობით შემოკრიბა გლეხები „მიწისა და თავისუფლების“ მოთხოვნის გარშემო, დუმაში შრომის ჯგუფს მხარი დაუჭირა მილიონმა გლეხმა; დუმისა და შრომის ჯგუფის მთელმა ისტორიამ ცხადათ დაანახვა გლეხებს, რომ სანამ ძალა და უფლება მეფიდან ხალხის ხელში არ გადავა, სანამ თვით ხალხი არ აღდგება და არ იბრძოლებს ამ უფლებისათვის, მანამდის გლეხები ვერ ეღირსება ვერც მიწას და ვერც თავისუფლებას.

რამდენათ უფრო იზრდებოდა და ძლიერდებოდა რევოლიუცია, იმდენათ ის თითქო მეტ სამოქალაქობრივო უფლებას იხვეჭდა; მას თავისი თავის იმედი ემატებოდა და არა ერთხელ შეეცადა ერთი მასსიური იერიშით აღეგვა დედამიწის პირიდან პარაზიტული მთავრობა, რომელიც წინ უდგია ნაციონალურ განვითარებას. ყოველი ასეთი ცდა კონტრ-რევოლიუციის გამარჯვებით თავდებოდა; მაგრამ სწორეთ ამ კონვულსიურ მოძრაობაში, თვით ამ დამარცხებაში, იზრდებოდა მისი ცხოველმყოფელი ძალა. კრიტიკულ მომენტებში დამყაყებული ძველი რუსეთის ყველა ბნელი ძალები მთელი თავისი მახინჯი სახით ექიმდებოდა ხოლმე თვითმპყრობელობას. მაგრამ ეს ბნელი ძალები თითქო განგებ აღდგებოდნენ ხოლმე, რომ ყველას ცხადათ დაენახა კავშირი, რომელიც არსებობს მეფესა და ძველ ბატონ-ყმურ წეს-წყობილების პარაზიტულ კლასებს შორის; ამ ძალების თვითეული გამოლაშქრება თითქოს იმისთვის ხდებოდა, რომ ისტორიული საკითხი რუსეთის რევოლიუციის მთელი თავისი სიგრძე სიგანით, მთელი შინაარსით და სიდიადით გადაშლილიყო ხალხის წინაშე და ყველა დარწმუნებულიყო, რომ ძველი და ახალი რუსეთის შერიგება ყოვლათ შეუძლებელია და თვითმპყრობელობასთან ულმობელი, უსასტიკესი ბრძოლა ხალხის მხრივ აუცილებელია. თვითმპყრობელ-ბატონყმური წყობილების რევოლიუციონური გზით დამსხვრევის იდეა, რომელიც წინეთ მხოლოდ სოციალდემოკრატიის დროშაზე იყო დაწერილი, დღეს მთელ ხალხს მოედო და ნაციონალურ ლოზუნგათ იქცა.

ამრიგათ რევოლიუცია ერთ დროს სარდაფებში მომწყვდეული მთელი რუსეთის არე-მარეს მოედო და ნაციონალური გახდა; რევოლიუციის ასეთნაირათ გარდაქმნამ რევოლიუციონური ბრძოლის ისეთი საშუალებები და რიგი წარმოშვა, რომ ამაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელი იყო ორი წლის წინეთ. შეთქმულთა რევოლიუციის ბრძოლის იარაღათ მიაჩნდა დაქსაქსული გაფიცვები, მცირეოდენი დემონსტრაციები, მოწყობილი საიდუმლო ორგანიზაციების მეთაურობით და კერძო პირების წინააღმდეგ მიმართული ტერორი. მას შემდეგ ჩვენ განვიცადეთ უმაგალითო და შეუდარებელი საყოველთაო გაფიცვა; განვლეთ რამდენიმე აჯანყება, რომელნიც თავისთავათ მოხდა. ეს აჯანყებები ქალაქში გაფიცვებისაგან წარმოსდგა, სოფლებში—გლეხების მებატონეებთან ბრძოლიდან. ამავე დროს ჩვენ მოწმე ვეყავით იმის, რომ ჯარის ნაწილები რევოლიუციონური ხალხისკენ გადავიდა, რასაც თან მოყვა სამხედრო უფროსების გადაყენება და მათ მაგიერ სალდათების კომიტეტების ამორჩევა. დაბოლოს მეორე და მესამე რიგის კაზაკების მოძრაობა, რომელიც შეკავშირებულია დუმაში მოხდარ დებატებთან; დასასრულ სვეაბორგის, კრონშტადტის და რეველის აჯანყება დუმის გარეკასთან დაკავშირებული; ყოველივე ეს საკმაოთ ამტკიცებს, რომ ახლო მომავალში ჯარის ხალხისაკენ გადასვლა იმდენათ გაძლიერდება, რომ უზრუნველყოფს რევოლიუციის გამარჯვებას, თუ ხელთ გვექნება მოძრაობის საყოველთაო ნაციონალური ცენტრი, რომელსაც საკმაო ავტორიტეტი ექნება ჯარის თვალში.

(დასასრული იქნება)

---

**ადგილობრივი პრესა.**

—

ამ ორი დღის წინათ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ პლეხანოვის წერილის გამო დიდათ აღტაცებულან ჩვენი სოც.-ფედერალისტები. გაზ. „მეგობარი“ კომპლიმენტებს არა ზოგავს პლეხანოვისთვის. იგი სწერს: „გ. პლეხანოვი არ შეუშინდა განყენებულ დოგმას, არ შეუშინდა ბოლშევიკების შეუფერებელ ამაყ ყვირილს—პროლეტარიატი ვერავის შეუთანხმდებაო—და პირდაპირ გამოვიდა ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან შეთანხმების მოსარჩლეთ. პლეხანოვს ესმის... და სხ.“ დიახ, პლეხანოვს კარგათ ესმის საქმის დღევანდელი ვითარება, დიახ, პლეხანოვს არ ეშინიან ბოლშევიკების არავითარ ყვირილის; მას არც სხვისი ეშინიან ვისიმე. პლეხანოვი ბუნებითაც მეტის-მეტათ გამბედავი კაცია; ხოლო რაც შეეხება იმას, ვითომ იგი არ შეუშინდა „განყენებულ დოგმას“, აი ეს კი განმარტებას ითხოვს. მოგეხსენებათ, რომ პლეხანოვი ცნობილია, როგორც „დოგმების“ მაძათ-მთავარი, „დოგმების“ წმინდათ დამცველი. სოც.-ფედერალისტები კი დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ პლეხანოვი ხსენებულ წერილში—„განყენებულ დოგმას“ არ შეუშინდაო, ე. ი. მან სოც.-დემოკრატიის რომელიღაც „დოგმა“ გადალახაო. ეს ჩვენთვის ძალიან დაუჯერებელია, და ამიტომ წინადადებას ვაძლევთ სოც.-ფედერალისტებს დაგვისახელონ რომელი „დოგმა“ გადალახა „მენშევიკების ფრაქციის ბელადმა“. თუ ისინი ამას შეა-

# მოქალაქენო!

არჩევნები სახელმწიფო დუმაში კარზე გვადგია. ბნელ ძალებს არ სძინავთ. განმათავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგი პარტიები ირაზმებიან და ყოველ ღონეს ხმარობენ არჩევნების ჩარხი ისე დაატრიალონ, რომ მომავალი დუმა რეაქციონური იქნეს. ასეთ დროს ჩვენი მხრით ოდნავი გულგრილობა და დაუდევრობა მოქალაქობრივი სიკვდილი იქნება. ჩვენი საარჩევნო უფლებები ისეც თითქმის არარაობათ აქცია მთავრობამ; **ყოველი მოქალაქის უწმინდესი მოვალეობაა ამ მცირეოდენი უფლებით მაინც ისარგებლოს, რომელიც ჯერ კიდევ არ წაურთმევიათ.** მაშ მეტი მხნეობა, მეტი ერთობა და მეტი ენერგია. **დაუყოვნებლივ ჩაეწერეთ საარჩევნო სიებში, არც ერთი უფლების მქონე არ დარჩეს ჩაუწერელი,** ვისაც შეუძლია დროზე იშოვოს საჭირო ვექილობები. **განსაკუთრებით საჭიროა დაუყოვნებლივ ჩაეწერონ სიაში ის პირები, რომელნიც დაქირავებულ ბინებზე ცხოვრობენ, მაგრამ ბინის გადასახადს არ იხდიან.** განცხადების შეტანის ვადა სრულდება დღეს, 10 ნოემბერს.

---

სრულდებს, ჩვენის მხრით პირობას ვაძლევთ, რომ „პაპს“ უმალვე ტახტიდან ჩამოვაგდებთ.

მაგრამ წინდაწინვე ვიცით, რომ ასეთი Coup d' Etat არ დაგვეჯერდება, ს.-ფედერალისტები ვერაფერს ვერ დაგვისახელებენ, ვინაიდან „პლეხანოვის ტაქტიკა არც უბრალო ოპორტიუნიზმია და არც სოციალიზმის ღალატი. იგია ერთად ერთი დასკვნაა რეალურ ცხოვრებისა, საზოგადოებრივ ძალთა დღევანდელ განწყობილება-ურთიერთობისა“.

* *

სოც.-ფედერალისტები არც კავკასიის სოციალდემოკრატიისათვის ზოგავენ კომპლიმენტებს. მათ ძალიან მოსწონებიათ, რომ ახლანდელ არჩევნებისათვის ჩვენ ტაქტიკურ წესათ მივიღეთ ბურჟუაზიულ საოპოზიციო და სარევოლიუციო პარტიებთან შეთანხმება ყველგან, სადაც კი ეს საჭირო იქნება მემარჯვენე პარტიების დასამარცხებლათ.

გაზ. „მეგობარი“ „ზრდილობიანი“ ფორმით გვაწვდის თავის „კომპლიმენტს“; იგი სწერს: „არ შეგვიძლია კმაყოფილებით არ მივეგებოთ ასეთს გამოფხიზლებას იმ ბურუსიდან, რომელშიაც შარშან იყო გახვეული ეს-დეკების პარტია, როცა დაჟინებით გაიძახოდა—თვითმპყრობელობა უკვე დამსხვრეულია და ახლა ჯერი ბურჟუაზიაზე მიდგაო“. ახირებულია თქვენმა მზემ!.. სოც.-ფედერალისტები მუდამ ისე სწერენ და ლაპარაკობენ სოც.-დემოკრატებზე, თითქოს იგინი (ს.-ფ.) მთვარეზე ცხოვრობდენ და ჩვენ მოქმედების შესახებ ამბის-ამბათ ტყობულობდენ ხოლმე. მაგრამ ჩვენ გვეფიქრება, რომ ისინი განზრახ ამახინჯებენ ხოლმე სინამდვილეს. თორემ ვინ არ იცის, რომ სოციალდემოკრატია სწორეთ იმ დროს, როცა ბურჟუაზიული პარტიები თავისუფლებისა და კონსტიტუციის „მოპოებას“ დღესასწაულობდენ—მაშინ სოციალდემოკრატია მიტინგებზე, კერძო კრებებზე თუ პრესაში დაჟინებით აფრთხილებდა მუშა-ხალხს არ მოტყუებულიყო ბურჟუაზიულ პარტიების ილიუზიებით და ბეჯითათ შემზადებულიყო თვითმპყრობელობასთან და ყველა მის მოკავშირეებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის.

ან იქნება ს.-ფედერალისტებს მეხსიერება ღალატობს?.. ჰმ! შეიძლება. გაზ. „მეგობარი“ სწერს: „რაც შეეხება „ტალღის“ შენიშვნას, „ბურჟუაზიულ პარტიების“ შესახებ, რომელნიც „ძლიერ შეეჩვივნენ სოციალისტურ სახელების დარქმევას, მუშათა ქომაგათ თავის თავს აღიარებს... ამის შესახებ ამ ჟამათ ლაპარაკი არ ღირს. (ეტყობა ჩვენი გაზეთის ხსენებული სტრიქონები კაკალ გულში მოხვედრიათ სოც.-ფედერალისტებს). უნდა შევნიშნოთ მხოლოდ — განაგრძობს „მეგობარი“ — რომ მეტათ ახირებული პრეტენზიათ მიგვაჩნია საყვედური—სოციალდემოკრატების წინააღმდეგ სხვა პარტიების შეერთება იმის ნიშანია, რომ ის პარტიები მუშათა კლასს ებრძვიანო“... აქ სოც.-ფედ. უნდა გავახსენოთ „პატარა გარემოება“. თვითონ მათ არა ერთხელ უცვნიათ თავიანთ გაზეთის ფურცლებზე, რომ სოც.-დემოკრატია იბრძვის სწორეთ მუშათა კლასის ინტერესებისათვის; იგი მუშათა კლასის მისწრაფებათა შეგნებული გამომხატველია, და მაშასადამე, როდესაც სხვა პარტიები ერთდებიან სოციალდემოკრატიის წინააღმდეგ, ცხადია, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი იბრძვიან მუშათა კლასის წინააღმდეგ. ეს არ უნდა იყოს ძნელი გასაგები. და აქ არავითარ „ახირებულ პრეტენზიას“ არ უნდა ქონდეს ადგილი.

დასასრულ, სოციალისტ-ფედერალისტებს არ მოსწონებიათ ის გარემოება, რომ ჩვენ ამიერ კავკასიაში საჭიროთ არ მიგვაჩნია ისეთი საარჩევნო შეთანხმებანი, როგორიც აუცილებელი გახდება თვითონ რუსეთში; (საჭიროთ არ მიგვაჩნია იმ მოსაზრებით, რომ პარტიათა შორის ძალთა განაწილება აქ და იქ შესამჩნევათ განსხვავდება, რომ აქ, კავკასიაში, ბრძოლა იწარმოებს უმთავრესათ პროგრესიულ პარტიათა შორის). გაზ. „მეგობარი“ შეწუხებული შენიშნავს: „შეთანხმების პრინციპის საჭიროთ აღიარება მარტო საკმარისი არაა; საჭიროა პრინციპის პრაქტიკულათ განხორციელებაც“. უნდა დავამშვიდოთ ს.-ფ., რომ იქ, სადაც საჭიროა, ჩვენ საარჩევნო პრინციპს პრაქტიკულადაც განვახორციელებთ.

გაზ. „მეგობარი“ მაინც ვრცლათ გვიმტკიცებს, თუ რამდენათ სასარგებლო იქნება ჩვენთვის შეერთება სხვა პარტიებთან, მაგ. თფილისში, ქუთაისში; იგი გვაფრთხილებს არ დავეყრდნოთ წარსულ გამარჯვებას, მიგვითითებს სენატის „განმარტებებზე“, რამაც ბევრი საარჩევნო ძალა მოაკლო სოციალდემოკრატიას და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით, რალა ბევრი გავაგრძელოთ, სოც.-ფედერალისტები ძალიან განაწყენებულნი არიან იმის გამო, რომ საარჩევნო ტაქტიკის შემუშავების დროს ჩვენ ერთი თბილი სიტყვაც არ გავიმეტეთ მათთვის და ამ რიგათ არ შევამზადეთ ნიადაგი „მოსალოდნელ საარჩევნო კომბინაციისთვის“... amico! ამაზე მერე ვილაპარაკოთ.

# ახალი ამბები

გუშინ, 9 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ამიერ-კავკასიის რკინის უმთავრეს სამმართველოს მახლობლათ ვიღაც უცნობმა ორჯერ რევოლვერი ესროლა რკინის გზის „მოძრაობის“ (службы движенія) უფროსს **გუსტავ ადოლფის ძე ბერნდტს.** ბერნდტს თან მხლებელი მოსდევდა, რომელმაც უცნობი დაიჭირა და ის იყო უნდა მოეკლა, რომ მას მეორე ამხანაგი მოეშველა, რომელმაც ბერნდტის მხლებელი რევოლვერით მძიმეთ დასჭრა ფეხებში. ამასობაში თვით ბერნდტმაც დაიწყო სროლა, მაგრამ დააცილა. ბერნდტი კისერში მძიმეთ დაჭრილი აღმოჩნდა და თავის მხლებელთან ერთათ რკინის გზის საავათმყოფოში გაგზავნეს. მალე სამმართველოსთან მოვიდნენ სალდათებიც და სროლა ასტეხეს. სროლის დროს მოკლული აღმოჩნდა ერთი ლეკი, რომელიც მიხეილის საავათმყოფოში გაგზავნეს. დაიჭირეს ერთი, რომელსაც აბრალებენ, თითქოს ბერნდტის დაჭრაში მონაწილეობა მიეღოს და სცემეს. როგორც გადმოგვცეს იგი გვარათ საყვარელიძე ყოფილა. იმ ადგილას, სადაც ეს ამბავი მოხდა, ხალხში დიდი ალიაქოთი ატყდა. სროლის დროს დაშინებულნი უგზო-უკვლოთ გარბოდენ.

◆ 7 დეკემბერს **თფილისის სამოსამართლო პალატის სესია ქუთაისში** გაარჩევს ფრიად საყურადღებო საქმეს ს. მუხურის (სამეგრელოშია) მცხოვრებ 25 გლეხისას, რომელთაც ბრალათ ედებათ გასულ წელს აგრარულ მოძრაობის დროს მთავრობის მოხელეებისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა. ბრალდებულთ სასამართლოში დაიცავენ ნაფიცი ვექილები კ. ჯაფარიძე, მ. ქიქოძე და თავ. მელქისედეკ ფალავა.

◆ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, მიმდინარე წლის ივნისში, **პეტროვის ქუჩაზე** (ვერაზეა) სულხანოვის სახლში პოლიციამ 129 ყუმბარა აღმოაჩინა. ამ საქმის გამო პასუხის-გებაშია მიცემული სახლის პატრონი სულხანოვი. გამოძიება დასრულებულა და ბრალდებულთ საბრალმდებლო ოქმი უკვე ჩაბარდათ. საქმე სამოსამართლო პალატაში ამ მოკლე ხანში გაირჩევა.

◆ **თფილისის სამოსამართლო პალატაში** ამ მოკლე ხანში გაირჩევა საქმე ინჟინერ კომიშკირცევისა, გულანდისა და სხ., სულ 33 კაცისა, რომელთაც ამიერ-კავკასიის რკინის გზის ერთ სადგურზე მთავრობის მოხელეთათვის შეიარაღებულ წინააღმდეგობის გაწევა ბრალდებათ. ბრალდებულთ დაიცავენ ნაფიცი ვექილები მ. ო. გრუზენბერგი, თავ. ი. ბარათაშვილი, კ. ჯაფარიძე, ა. კლანკი და გუნცაძე.

◆ ქალაქის საბჭოს ხმოსანმა თავ. ნ. ვ. არღუთინსკიმ ქალაქის თავს წერილით შეატყობინა, რომ იგი საბჭოს ხმოსნობას თავს ანებებს; მიზეზათ ის მოყავს, რომ ავათმყოფობის გამო საბჭოს კრებებზე რიგიანათ ვერ ვესწრებიო.

◆ გუშინ-წინ 8 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, აბანოების მახლობლათ მე-6 საპოლიციო უბანში ვიღაც უცნობმა რევოლვერით მძიმეთ დასჭრა **გენერალ-მაიორი გოლოშჩაპოვი,** რომელიც აბანოდან სახლში ბრუნდებოდა. უცნობი ეტლზე შეუხტა გოლოშჩაპოვს და ორჯერ დაახალა რევოლვერი, მაგრამ ერთი ააცდინა, ხოლო მეორეთი კი მძიმეთ დასჭრა კისერში, ამას შემდეგ კი უგზო-უკვლოთ მიიმალა. დაჭრილი გოლოშჩაპოვი გრძნობა დაკარგული სახქაროთ მიხეილის საავათმყოფოში გაგზავნეს. გუშინ ის უკვე შეიქმნა და თავის დაჭრის შესახებ დაწვრილებითი ამბები გადასცა ექიმებს.

◆ ორშაბათს, 6 ოქტომბერს დ. ცხინვალში კაზაკებმა **მოკლეს გიორგობ ფარსადანოვი,** ყოფილი ადგილობრივ წითელი რაზმის წევრი.

◆ გუშინ, 9 ნოემბერს, ქალაქის გამგეობაში **რამდენიმე კაცმა** მოიტანა სია 2400-მდე ამრჩევლებისა, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება ქონიათ, მაგრამ სიებში შეტანილნი არ ყოფილან და ითხოვეს მათი საარჩევნო სიებში შეტანა, მაგრამ ქალაქის თავის მოადგილემ მათ მიღებაზე უარი განაცხადა იმ მიზეზით, რომ ადგილობრივ შემოწმებას ვერ მოვასწრებთო დანიშნულ ვადამდე.

◆ გუშინ წინ მთავარანგელოზობას საქართველოს ეგზარხოსმა ნიკონმა ავლაბრის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში სწირა; როგორც გავიგეთ, წირვის შემდეგ ეკლესიაში **„ნამდვილ რუსთა“ სახელით მრავალი ფურცელი დაურიგებიათ,** სადაც მოუწოდებდენ „ნამდვილ რუსებს“ შეერთდენ არჩევნების დროს დუმაში „ღირსეული“ კაცის გასაყვანათ.

◆ ამას წინეთ ქალაქის თავის მოადგილე ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა თხოვა გენ.-გუბერნატორს ნება დართოს **ქ. თფილისის ამომრჩევლებს სააგიტაციოთ და მოსალაპარაკებლათ კრების გამართვის.** გენ.-გუბერნატორს ქალაქის თავის მოადგილის თხოვნაზე უარი უთქვამს.

◆ **ჭეშმარიტ რუსთა შუამდგომლობა.** ამ დღეებში მინისტრთა საბჭო განიხილავს კავკასიაში მყოფ ჭეშმარიტ რუსთა შუამდგომლობას. მათ ნაჰესტნიკისთვის მიუმართავთ თხოვნით, მოგვეცეს უფლება, რომ ჩვენ, როგორც რუსების წარმომადგენლებმა, ცალკე დეპუტატი გავგზავნოთ დუმაშიო. ამისთვის საჭიროა, რომ საარჩევნო კანონი კავკასიის შესახებ შეცვლილ იქნეს. კავკასიის უმაღლესი მთავრობა მხარს უჭერს თურმე ასეთ შუამდგომლობას. მექოთნეს საითაც სურს, იქით გამოაბამს ქოთნის ყურს!

◆ გუშინ წინ, 8 ნოემბერს, საღამოს 11 საათზე გუნიბის ქუჩაზე **სოფიო ბოიკოს სახლში,** ამ სახლში მცხოვრებ ვასილ ტიხონოვმა, რევოლვერის ორი ტყვიით მძიმეთ დასჭრა სახლის პატრონი ბოიკო. შემდეგ კი თვითონ უნდოდა რევოლვერით თავის მოკვლა, მაგრამ მხოლოდ დაჭრილი აღმოჩნდა. ტიხონოვი კუზნეცოვის ჩაის სასავაჭროში მსახურებს. ქ-ნმა ბოიკომ განაცხადა, რომ ტიხონოვმა მას თხოვა ცოლათ გაყოლოდა და როდესაც უარი მიიღო, ჩემი მოკვლა განიზრახაო. ორივე დაჭრილი მიხეილის საავათმყოფოში გაგზავნეს.

◆ 7 ნოემბერს მოხდა **კრება** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა მიმდინარე კითხვებზე მოსალაპარაკებლათ. კრებაზე სხვათა შორის გარჩიხილეს თფილისის საბაღოსნო სკოლის გამგის შუამდგომლობა, რომ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს საბაღოსნო სკოლას, რადგან უსახსრობის გამო ამ უკანასკნელში სწავლის საქმე რიგიანათ ვერ მიდისო. კრებაზე გადაწყდა საბაღოსნო სკოლას ნივთიერი დახმარება გაუწიონ.

◆ **სად. ბალაჯარიდან** იტყობინებიან, რომ 7 ნოემბერს საღამოს 5 საათზე მატარებელს ქვეშ მოყოლია ვინმე მოიჯარადრე ოღანოვის მუშა, სპარსეთის ქვეშევრდომი, იბატ-მამუდ-ოღლი. მატარებელს მამუდ ოღლი სასიკვდილოთ დაუშავებია.

# პროვინცია.

**ჭიათურა.** ამ დღეებში გავრცელდა აქ ქართულ ენაზე დაბეჭდილი ფურცელი შავი-ქვის საბჭოს წე-

---

# ფელეტონი

—:—

„ა მ ხ ა ნ ა გ ო!“

(მოთხრობა)

მ. გორკის.

იმ ქალაქში ყველაფერი საოცარი და გაუგებარი იყო. მრავალ ეკლესიას აემართა თავისი ჭრელი ბრწყინვალე გუმბათები ცისაკენ, მაგრამ ქარხნების საყვირი და კედლები ეკლესიათა გუმბათებს სჭარბობდენ და უზარმაზარ სავაჭრო სახლების გვერდით მიმალულიყვენ, როგორც უცხოფერი ყვავილები ნანგრევების მტვერსა და ნაგავში. და როდესაც ეკლესიების ზარები სალოცავათ იწვევდენ მორწმუნეთ, მათი წკარუნი სახლების რკინის სახურავებიდან უმწეოთ ქვეით ეშვებოდა და უღონოთ იკარგებოდა ვიწრო ორღობეებში.

შენობები უზარმაზარი და ხშირათ ლამაზებიც იყვენ, ადამიანები კი მახინჯნი და საბრალონი. დილიდან საღამომდე ისინი, როგორც ბებერი თაგვები, უაზროთ დარბოდენ ქალაქის უსწორ-მასწორ ქუჩებში და ეძებდენ ზოგი პურს, ზოგი გასართობ საგნებს; სხვები შარა გზაზე იდგენ და მტრულათ თვალყურს ადევნებდენ, რომ უძლურნი ხმის ამოუღებლათ დამორჩილებოდენ ძლიერთ. ძლიერს უწოდებდენ მდიდარს; ყველას სწამდა, რომ კაცს უფლებას და თავისუფლებას ფული აძლევს.

ყველა უფლებისათვის იბრძოდა, რადგან ყველა მონა იყო; მდიდრების მედიდურობა ღარიბთა შურს იწვევდა. ოქროს ჩხარუნი საუკეთესო მუსიკათ მიაჩნდათ; ამიტომაც ყველა ერთი-მეორეს მტრობდა და ყველგან სიმკაცრე გამეფებულიყო.

ქალაქს ხშირათ ანათებდა მზე, მაგრამ ცხოვრება მაინც შავი იყო და ადამიანნიც აჩრდილებს წარმოადგენდენ. ისინი ღამით მრავალ მბრწყინავ ფარნებს ანთებდენ, მაგრამ ამ დროს ქუჩებში გამოდიოდენ ქალები თავიანთი ალერსის გასასყიდათ; გარშემო სხვადასხვა საჭმელების სურნელება იდგა და ყველგან გიჟურათ ბრიალებდა მშიერთა თვალები. ქალაქს თავს დასტრიალებდა უბედობის შავი ღრუბელი, მაგრამ იგი ხმას ვერ იღებდა.

ყველა მოწყენილათ და მოუსვენრათ ცხოვრობდა, ყველა მტერი და დამნაშავე იყო, მხოლოდ ზოგიერთები გრძნობდენ, რომ სიმართლე მათკენ იყო, მაგრამ ისინიც ცხოველებივით ტლანქი იყვენ, და სხვებზე უსასტიკესნი.

ყველას სიცოცხლე სწყუროდა, მაგრამ თავის სურვილისამებრ ცხოვრება ვერავის ვერ მოეწყო, და ყოველი ნაბიჯი, მომავლისკენ გადადგმული, იძულებულს ხდიდა ადამიანს აწმყოსკენ მოეხედა, აწმყო კი თავის ღონიერი და მაგარი ხელებით ნახევარ გზაზე აჩერებდა ადამიანს და თავის მრისხანე ბრჭყალებით იჭერდა.

შავ სოფელში ტანჯვისა და გაუგებრობას უვარდებოდა ადამიანი ხელებში. ურიცხვი უმწეო თვალი შესცქეროდა დედამიწას და თითქოს რაღაცას თხოვდა მას. ამ დროს ისევ გაქრებოდა მომავლის ბრწყინვალე სახე და უმწეოთა გმინვა ცხოვრებისგან ნაწამებ, საბრალო, უბედურ ადამიანთა კვნესისა და ტირილის მორევში იკარგებოდა.

ყველგან მოწყენილობა და შიშიანობა მეფობდა, ადამიანთა გვერდით კი, როგორც შავი საპყრობილე, უძრავლათ იდგა და მზის სხივებს ეალერსებოდა მოწყენილი, შავი ქალაქი და შენობანი ნანგრევები.

და ცხოვრების მუსიკა იყო სიბოროტისა და შურის ძიებისა დახრჩობილი კვნესა, დამალულ სიძულვილის უხმო ჩურჩული, სიმკაცრის მედგარი ყეფა და დაჯაბნების უძლური წკმუილი.

*
* *

საერთო უბედობისა და შიშიანობის დროს შიმშილისა, ხელმოკლეობისა და შესაბრალ თვითმოყვარეობის ქაობში, სახლების სარდაფებში, სადაც ღარიბი ხალხი ცხოვრობდა, ხალხი, რომელმაც ქალაქის სიმდიდრე შექმნა, უჩინრათ დადიოდენ უცნობი მოაზრენი; იმათ სწამდათ ადამიანი, ყველასათვის უცხონი იყვენ ისინი, ქადაგობდენ წინააღმდეგობას, მოქონდათ ნაპერწკალი სიმართლის შორეულ ცეცხლისა. იმათ ყველასათვის შეუმჩნევლათ მოქონდათ სარდაფებში მარათ სასარგებლო, პაწია თესლი დიადის მოძღვრებისა და ხან მრისხანეთ, ხან კი რბილათ და სიყვარულით თესდენ ამ წმინდა, მწვავე სიმართლის თესლს მონაადამიანთა შავ გულებში, იმ ადამიანთა, რომელნიც გაუმაძღართა ძლიერებით, უგუნურთა თვითნებობით, ბოგების ბრმა და უენო იარაღათ გადაქცეულიყვენ.

და ბნელი, დავიწყებული ადამიანები, ურწმუნოთ ყურს რომ უგდებდა ახალ სიტყვათა მუსიკას, მუსიკას, რომელსაც გაურკვევლათ დიდი ხანა ელოდა იმათი დატანჯული გული, ნელ-ნელა ხმას იღებდენ და ლეწდენ ცბიერების ჯაჭვს, რომელშიაც ისინი ძლიერთ და გაუმაძღართ ჩაებათ.

იმათ ცხოვრებაში, შეკავებულ ღრმა სიბრაზითა და უკმაყოფილებით სავსე ცხოვრებაში, ათასნაირ შეურაცხყოფით მოწამლულ იმათ გულში, ძლიერთა გამოუცნობ ცბიერებით დაჟანგულ ცნობიერებაში—ამ შავი ნაღველით გაჟღენთილ ცხოვრებაში—პირველათ გაისმა უბრალო, ბრწყინვალე სიტყვა:

— ამხანაგი...

ეს სიტყვა ახალი არ იყო მათთვის. იმათ ხშირათ გაეგონათ და თვითონაც წარმოეთქვათ იგი, მაგრამ დღემდე იგი ისეთივე უაზრო, ცარიელი სიტყვა იყო, როგორც სხვა ნაცნობი სიტყვები, რომელნიც შეგიძლიან დაივიწყო და არაფერიც არ დაკარგო.

მაგრამ ახლა იგივე სიტყვა წმიდა და მედგარი, სულ სხვანაირათ ესმოდა ყურს, მასში სულ სხვა ჰანგი ისმოდა და რაღაც ალმასივით მაგარი, ბრწყინვალე იყო მასში.

იმათ მიიღეს იგი და სიფრთხილით წარმოთქვამდენ ხოლმე მას, გაფრთხილებით ატარებდენ გულში ისე, როგორც დედა ახლად დაბადებულ ბავშვს არწევს აკვანში და სტკბება იმით.

და რაც უფრო ღრმათ აკვირდებოდენ ამ სიტყვის მნიშვნელობას, მით უფრო ბრწყინვალეთ, საგრძნობლათ და მკაფიოთ ესმოდათ მათ ამ სიტყვის აზრი.

— ამხანაგო!—ამბობდენ ისინი.

ყველა გრძნობდა, რომ ეს სიტყვა გამოწვეული იყო მთელი ქვეყნის გასაერთიანებლათ, მას უნდა აემაღლა ადამიანი თავისუფლების მწვერვალამდე და შეეკრა იგი ახალის ჯაჭვით, ერთმანეთის სიყვარულისა და პატივისცემის ჯაჭვით.

როდესაც მონებს ეს სიტყვა ჩაეჭედათ გულში,—ისინი განთავისუფლდენ მონობიდან და ერთ მშვენიერ დღეს ამცნეს ქალაქსა და მთელ იმის ძალებს დიადი საკაცობრიო სიტყვა:

„არ გვინდა!“

მაშინ შესწყდა ცხოვრება, რადგან მხოლოდ ისინი წარმოადგენდენ ძალას, რომელიც ქალაქს ამოძრავებდა, მხოლოდ ისინი და სხვა არავინ. შედგა წყლის მდინარეობა, გაქრა ცეცხლი, ქალაქი წყვდიადში ჩაიმალა და ძლიერნიც დაუძლურდენ, როგორც ბავშვები.

შიშმა მოიცვა ძლიერთა აზრი, იმათ სული შეუწუხდათ, მაგრამ ურჩებზე ჯავრს ვერ იყრიდენ, პირ-იქით შიშითა და ძრწოლით ქედი უნდა მოეხარათ იმათ ძლიერების წინაშე.

შიმშილობის აჩრდილი წარმოუდგა მათ და მათმა შვილებმა წყვდიადში საზარი ტირილი მორთეს.

ბნელში ჩაფლული სახლები და ეკლესიები ქვისა და რკინის უსულო მორევს შეერთებოდენ, ბედითი სიჩუმე გამეფდა ქუჩებში, ცხოვრება შესწყდა, რადგან მისმა შემქნელმა ძალამ თავი იცნო და ადამიანმა—მონამ მონახა თავის ნების გამომხატველი სიტყვა—განთავისუფლდა ტანჯვისაგან და შეიგნო თავისი ძალა—ძალა შემოქმედისა.

ეს დღეები ძლიერთა ტანჯვის დღეები იყო, იმათი, რომელთაც თავიანთი თავი ცხოვრების უფლათ მოქონდათ, თვითეული ღამე—ათას ღამეთ ეჩვენებოდათ, ისე ხშირი იყო წყვდიადი, ისე საბრალოთ კიაფობდენ ფარნები სულ განაბულ ქალაქში, და ის კი, საუკუნოებით შექმნილი დევი, ადამიანთა სისხლის მსმელი, იმათ წინ ისე გამხლართულიყო, როგორც ქვისა და ხის უსულო ყორე. მშიერივით და შავათ გაყურებდენ ქუჩებს სახლების ბრმა ფანჯრები, ქუჩებში კი ძველებურათ ფხიზლათ იარებოდენ ცხოვრების ნამდვილი შემქმნელნი. სხვებზე უფრო მშიერები იყვენ, მაგრამ მათთვის ეს ნაცნობი ხილი იყო და მათი ტანჯვა სრულიადაც არ უდრიდა ძლიერთა ტანჯვას, ეს ტანჯვა სრულიადაც არ აქრობდა მათ გულში წინსვლის ცეცხლს. მათ გული ენთებოდათ თავისი ძალის შეგნებით, მომავალ გამარჯვების წინათგრძნობის ცეცხლი თვალებში უღვივოდათ.

ისინი დადიოდენ ქალაქის ქუჩებში, თავიანთ ციხეში, სადაც წინეთ მხოლოდ ზიზღს იმსახურებდენ, სადაც ათასნაირ შეურაცხყოფით სულს უწამლავდენ; ხედავდენ თავიანთ შრომის დიად მნიშვნელობას და ესეც გულს უმაღლებდა მათ და აგზნ-

...რის ალ. გამრეკელისაგან ხელმოწერილი. როგორც ავტორი ამბობს, ეს ფურცელი გამოწვეულია საბჭოში წარდგენილ განცხადებას ვერთი მუშათა პარტიის წარმომადგენლისაგან“, რომელიც თხოულობდა „საბჭოს დაუყოვნებლივ დაენიშნა განსაკუთრებული პირი (აგენტი), დამშეულ მუშების საქმის საწარმოებლათ“-ო. ბ. გამრეკელი და საბჭო ამ განცხადებისთვის არც გაირჯებოდენ, მაგრამ ისინი შეუფუცხუნებია იმას, რომ განცხადების ავტორი წინააღმდეგ შემთხვევაში საკითხის „მასსაში გატანას“ ემუქრებოდა თურმე. ბ. გამრეკელი ცდილობს ამ ფურცლით, დაუმტკიცოს მუშებს, რომ აგენტის დაუნიშნაობა არაფერს არ აშავებს და თუ „დაშავებული მუშები და მათი ოჯახის წევრები თავის დროზე ვერ იღებენ იმ ჯილდოს, რომელიც მათ ეკუთვნის 1903 წლის 2 იგნისს კანონით“, ეს იმიტომ, რომ საბჭოს კასაში ფული არ არის „ხანგრძლივი გაფიცვების გამოვა“. ე. ი. ამით რა გნებავთ თქვათ ბ. ალექსანდრე? ნუ გაიფიცებით ხოლმე მუშები, რომ ჩვენ ფული არ შემოგველიოსო, არაფ გმადლობთ დარიგებისთვის, მაგრამ საქმე იმაშია, რომ კითხვა არც ყოფილა დაყენებული. მუშები მოთხოვნილებას იმით კი არ ასაბუთებენ, რომ ფულს გვიახობამდის ვერ ვღებულობთო, არამედ იმით, რომ სულ ვერ ვღებულობთ და თუ ავიღეთ ნახევარზე მეტი აბლაკატებს ან პოდრაძჩიკებს უვარდებათ ხელში, რადგან საქმე გლახათ არის დაყენებული და საჭიროა კაცი, რომელიც უფულოთ და თან ერთგულათ აწარმოებდეს დაშავებულ მუშის საქმეს. თქვენ თითონ ამბობთ, რომ მრეწველთა კრებამ კანონიერათ იცნო ეს მოთხოვნა და გადაწყვიტა აგენტის დანიშვნა და საბჭომ მე მომანდო ინსტრუქციის პროექტის შედგენაო. „მე კი, მივიღე მხედველობაში, რომ გარდა დაშავებულ მუშათა საქმეებისა საბჭოს ჭიათურაში მრავალი სხვა საქმეებიც აქვს თითქმის უპატრონოთ მიტოვებული, საუმჯობესოთ ვსცანი საბჭოს ჭიათურაში დაენიშნა კერძო პირის მაგიერ ერთი მისი წევრთაგანი და ამის შესაფერი ინსტრუქციის პარი. შევიმუშავეო“: გეკითხებით: ვისთვის სცანით საუმჯობესოთ, მუშებისთვის თუ საკუთარი ჯიბისთვის? იქვე მოგყავთ რა პროექტის შინაარსიც, რაც თავის თავათ მშვენიერია, ამბობთ: „აი უმთავრესი მოვალეობა საბჭოს წარმომადგენლისა, რომელიც სრულიად აკმაყოფილებს მუშების ინტერესებს“-ო. გულზე ხელი დაიდეთ და ისე თქვით ან შეათედი თუ სრულდება იმ ინსტრუქციისა წარმომადგენელ წევრისაგან, რომელიც, როგორც თქვენც ამბობთ, დატვირთულია „მრავალი სხვა საქმეებით“.

„საბჭოს დადგენილებით მე მომენდო დაშავებულ მუშათა საქმეები მეწარმოებინა“-ო. ე. ი. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, საბჭომ მუშები მას გადასცა, ვისაც დღემდეც ჰყვდა საამბლაკატოთ. ჩვენც ახლანდელ საბჭოს წევრებს პირადათ გვიცნობს, ამ აზრს არ დაეთანხმება, რადგანაც ყველა ჩვენთაგანი მშრომელი ხალხის მომხრე და მათი ინტერესების დამცველი ერთ, თითქმის უმეტეს მათსა, ვინც მხოლოდ ლითონი სიტყვებით ხატავენ თავის თავს მუშების და საზოგადოთ ხალხის მომხრეთ და პატრონათ. ამას გამბობ შესახებ ჩემი ამხანაგებისა და მე კი, არათუ ეხლა, როცა ხალხს ვემსახურები და მათი ამორჩეული ვარ, არამედ მაზრის უფროსობის დროსაც მშრომელ ხალხს თანაუგრძნობდი და მათ ინტერესებს აშკარათ ვიცავდი, რასაც გურიის და შორაპნის მაზრები დაამოწმებენ, მაშასადამე, რა საფუძველია მისი, რომ ჩვენ ეხლა მუშებისა და ხალხის მოღალატეობა შემოგვწამეს?“.

ამის გარდა, გურულებისა და შორაპნელების გარდა, მე, ჭიათურის საზოგადოებისთვისაც მიმინდვია.

„მოთხოვნილებაში ის აზრია გატარებული თითქო საბჭო რაღაც პირადი ინტერესების გამო არ ნიშნავდეს აგენტებს, ეს ყოვლად უსაფუძვლოა, იმიტომ რომ საბჭოს არავითარი პირადი სარგებლობა არა აქვს მით, რომ აგენტი არ დანიშნოს“. მე გიჩვენებთ თუ რა სარგებლობა აქვს: 1) აგენტის წასადები ჯამაგირი თქვენ მიგაქვთ, 2) მუშებს ვექილათ უდგებით და ფულსართმევთ, ხშირათ იმაზე მეტსაც, რაც თითონ მიაქვს (ამ [illegible] დღეებშიდაც შემხვდა მადნებში ერთი ფეხ[illegible] დაშავებული მუშა—ჭიშკარიანი, რომელიც შეთხვდათ ეკვრიგებიათ საგექილოში), და ყველა ამას კი შემდეგ აგენტობისა უნდა გამოეთხოვოთ. **ივანიკა.**

## პარტიის ცხოვრებიდან

ქ. კოსტრომაში საოლქო კომიტეტის ადგილობრივმა ჯგუფმა გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია, რომ პოლიცია ცდილობს საარჩევნო სიები თავის მომხრეებიდან შეადგინოს. ამიტომ ჯგუფი მოუწოდებს განმათავისუფლებელ მოძრაობის ყველა თანამგრძნობს ჩაეწერონ საარჩევნო სიებში და მისცენ ხმა სოც.-დემ. კანდიდატებს.

საოლქო სიეზდმა გადასწყვიტა შეკრას უკიდურეს მემარცხენე პარტიებთან ბლოკი.

გაზეთების ცნობით პეტერბურგის სოც.-დ. კომიტეტმა წინადადება მისცა ცენტრალურ კომიტეტს აიღოს სესხი საარჩევნო კამპანიისათვის. ც. კომიტეტმა უპასუხა, რომ იმან უკვე გაგზავნა საზღვარგარეთ ორი დელეგატი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროდან ფულის სასესხებლათ.

სიმფეროპოლში სოციალდემოკრატიულმა ცენტრალურმა საგუბერნიო კომისიამ გამოსცა მოწოდება საარჩევნო კამპანიის შესახებ. მოწოდებაში დაწვრილებითი ინსტრუქციაა პარტიულ აგიტატორებისადმი.

ვილნოს კომიტეტმა გამოუშვა ლიტვის და ბელორუსიის საოლქო კავშირის მოწოდების 20000 ეკზემპლიარი საარჩევნო კამპანიის შესახებ.

—

2 ნოემბერს პეტერბურგში მოხდა მუშების კრება დუმაში არჩევნების შესახებ.

კრებაზე წაიკითხეს პლეხანოვის უკანასკნელი წერილი მუშებისადმი, წერილმა, განსაკუთრებით იმ ადგილმა, სადაც შეთანხმებაზეა ლაპარაკი, ცხარე კამათი გამოიწვია.

კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ენერგიულათ მოუწოდებს მუშებს ჩაეწერონ საარჩევნო სიებში.

## წერილები გერმანიიდან

—

დღეს შესრულდა ერთი საუკუნე მას აქეთ, რაც საფრანგეთის „დიდ რევოლიუციის ეკზეკუტორმა“, დიდმა ნაპოლეონმა შავი დღე დააყენა პრუსიის ფეოდალურ დესპოტიურ წყობილებას. 14 | 1 ღვინობისთვეს 1806 წელს ქ. იენაში საშინლათ დამარცხდა ნაპოლეონისაგან პრუსიის ქეშული ჯარი. რაც დიდებულ პოეტების გიოტე და შილერის განმათავისუფლებელ იდეებმა ვერ შესძლეს, ის შესძლო კორსიკელმა ერთის დაკვრით. პრუსიის ახლათ გამოჩეკილი ბურჟუაზიული კლასები ყველაზე უფრო გრძნობდენ იუნკრების და ბიურო-კამარილას ძალმომრეობით მართვა-გამგეობას, მაგრამ ისინი იმ თავითვე იმდენათ ლაჩრები იყვნენ, რომ მოთმინებას ამჯობინებდენ. ამგვარათ საჭირო შეიქნა მოვლენილიყო გარეშე მეომარი, რომ პრუსიის ბატონ-პატრონნი მიწაზე დაენარცხებინა და მით ქვეყნისათვის შვება მიეცა. ასეც მოხდა, ნაპოლეონმა აიძულა მის წინ დაჩოქილ მეფე-დიდებულნი ფეოდალურ ძარცვა გლეჯაზე ხელი აეღოთ და ახალი დროის შესაფერი წესები შემოეღოთ. არასოდეს არ დასხმიათ მეფე დიდებულთ ასე საქვეყნოთ თავს-ლაფი. მეორე მხრით, ამ ომმა მშრომელ ხალხს და უფრო კი ბურჟუაზიას მოუტანა დიდი სარგებლობა.

მერე რაღას ვხედავთ? დღევანდელი ბურჟუაზიული კლასები, რომელთა აღორძინების პირველი ბოძი იენაში ჩაისვა, ყუმივით გაურბიან ამ შესანიშნავ ისტორიულ მომენტის გახსენებას. მათი მწერლები და პოლიტიკურნი ბელადნი საჭიროთ არ რაცხენ ამცნონ ქვეყანას, რომ ერთი საუკუნის წინათ მათი წინაპარნი ბედნიერი იყვნენ მით, რომ საკუთარი თვალით იხილეს გათახსირებულ წყობილების დამარცხება. ამის მიზეზი არის ის გარემოება, რომ ახლანდელი მთავრობა და მისი ძალა მარტოოდენ ბურჟუაზიულ კლასების ერთგული მცველია. იუნკრები და მოქალაქენი, მეფე და დემოკრატები შეურიგდენ დიდიხანია ერთმანეთს და ახლა მათი ერთათ-ერთი დანიშნულება მდგომარეობს „გამანადგურებელთა“ დევნაში. ისინი ხელს აფარებენ ყველაფერს, რაც კი ჩირქსა სცხებს მეფე და იუნკრების წინაპართ და სამაგიეროთ ყოველ ქუჩაზე გაყვლეფილ ხალხის ფულით ძეგლებს უდგამენ იმავე ხალხის სისხლის მსმელთ, ბისმარკს და ვილჰელმ პირველს.

როგორც ვიცით, სოციალდემოკრატია დიდი ხანია, რაც ლიბერალების ძველ მოთხოვნების ასრულებას შეუდგა; მის პროგრამა-მინიმუმში მრავალი ისეთი მუხლებია, რომელნიც ლიბერალების და დემოკრატების ძველ პროგრამებში იყვნენ მოთავსებული და დღეს უკუგდებულია მათგან. იენასაც სწორეთ სოციალდემოკრატია აქცევს ყურადღებას. მისი გაზეთები და იუმორისტული ფურცლები უთვალავ საინტერესო ეპიზოდებს მოგვითხრობენ იენის ეპოპეიდან. დღევანდელ „ფორვერტსის“ მოწინავეს „იენა“ აქვს სათაურათ. მის ნახატებიან დამატებაში მოთავსებულია ჩინებული სურათი უმთავრეს შეტაკებისა პრუსიელებსა და ფრანგებ შორის. რამდენიმე ხნის წინათ გამოვიდა შესანიშნავი შრომა ფრანც მერინგისა—„იენა და ტილზიტი“. ამ წიგნში გამოჩენილი ავტორი უტყუარ ისტორიულ საბუთების ძალით ასურათხატებს პრუსიის მეფე-იუნკრების წინაპართა „საგმირო საქმეებს“ და მით მკითხველ საზოგადოებას საშუალებას აძლევს ნამდვილი წარმოდგენა იქონიოს, რაც შვილებიც ბრძანდებოდენ ისინი.

რადგან მეფე-იუნკრებზე ჩამოვარდა ლაპარაკი მე იძულებული ვარ ერთი ამბავიც აქვე მოვიყვანო. აქაური გაზეთების ყოველ ნომერში წააწყდება კაცი გრძელ ამონაწერებს ამ რამდენიმე დღის წინ გამოსულ ორ-ტომიან წიგნიდან, რომელსაც სათაურათ „თ. ჰოჰენლოეს შენიშვნები“ აქვს. ეს ჰოჰენლოე იყო გერმანიის საიმპერიო კანცლერათ და ახლა გარდაცვლილია. მას თავის სიცოცხლეში მრავალი დაკვირვება აღუნიშნავს თვის დღიურში სასახლის, სხვილ ბიუროკრატების და პოლიტიკურ პარტიების ცხოვრებიდან. მისმა მემკვიდრემ გამოსცა მხოლოდ ნაწილი ამ შენიშვნებისა და ისიც არჩევით. მიუხედავათ ამისა, წიგნებში იმდენი საინტერესო ამბებია მოთხრობილი, როგორც ამონაწერებიდან სჩანს, რომ იმპერატორი ვილჰელმი საშინლათ გაუბრაზებია, რის გამო მან, გამომცემელს დეპეშით დიდი კიცხვა-მდურება გამოუცხადა.

ამ წიგნებს მეტ სახელათ „პანამა“ დაარქვეს, რადგან იქ მოყვანილი ზოგიერთი ფაქტები ნათელსა ჰფენენ მრავალ სამარცხვინო საქციელთ, რომელნიც ჩაუდენიათ გარდაცვლილ თუ კიდევ ცოცხალ ღიპიანზინზილებიანებ ბობოლებს. დავასახელოთ ორიოდე მაგალითი. იუნკრები ტყუილათ კი არ აღმერთებენ ბისმარკს. უკანასკნელი ვილჰელმ პირველის ხანგრძლივ მეფობის განმავლობაში მთელ გერმანიის ნამდვილი „ღლა“ ყოფილა. საწყალი ვილჰელმი, რომელსაც მისი შვილიშვილი, ახლანდელი იმპერატორი, დაჟინებით „დიდს“ ეძახის, სულ პატარა კაცუნას როლს თამაშობდა თურმე ბისმარკის ხელში. დაქვრივებული დედოფალი თვალ-ცრემლიანი შესჩივის ჰოჰენლოეს, ჩემ ქმარს არასოდეს თავის სურვილი არ შეუსრულებია და მუდამ ბისმარკის „ნაღზორის“ ქვეშ ცხოვრებდაო. თვითონ ბისმარკი ვალესის პრინციპის წინაშე ვილჰელმს უწოდებს უგუნურს და უნიჭოს. აი, ეს „უგუნური და უნიჭო“ ვილჰელმი განაგებდა ნომინალურათ მთელს გერმანიას თითქმის ნახევარ საუკუნის განმავლობაში! ჰოჰენლოე ხშირათ ეხება იმას, თუ როგორ იყვნენ ერთი მეორეზე გადამეტებული სხვადასხვა წარჩინებული პირები; როგორ აბუჩათ ქონდათ მათ მიჩნეული ქვეყნის ინტერესები. ინტრიგობა, მაბეზღრობა, ფარისევლობა, ყოყოჩობა, გარყვნილება და მრავალი ასეთი სამკაულები ამშვენებდენ თურმე მათ არისტოკრატიულ არსებას. ფელდმარშალი ვალდერზეე, რომელიც ყველა მონაწილე სახელმწიფოთა ჯარებს სარდლობდა ბოქსერების აჯანყების დროს ჩინეთში, ბისმარკის სიტყვებით, სულ იმის ცდაში იყო თურმე, რომ რამეფერათ ომი აეტეხა გერმანიას რომელიმე მეზობელ სახელმწიფოსათვის. მერე იცით რათ? იმიტომ, რომ მას ეშინოდა თურმე—ჩქარა დავბერდები და შემდეგ ომში სარდლობას აღარავინ მომცემსო!

მრავალი საინტერესო ამბებია აგრეთვე ახლანდელ ვილჰელმზე ნაამბობი. განსაკუთრებით დაწვრილებით აღწერილია ბისმარკის კანცლერობიდან გადაყენება. ახალგაზდა ხელმწიფე დაფეთებული ყავდა თურმე რკინის კანცლერს და უკანასკნელი განუკითხავათ მართავდა გერმანიას. შემდეგ ვილჰელმი ჩაფიქრებია თავის აუტანელ მდგომარეობას და მოსურვებია „ურჩობა“. ბოლოს საქმე ისე გამწვავებულა თურმე, რომ ბისმარკის დათხოვნა განუზრახავს ხელმწიფეს. ამის მიზეზათ უკანასკნელს მოყავს ის გარემოება, რომ „მე უნდა გადამეწყვიტა—ჰოჰენცოლერნების თუ ბისმარკის დინასტია იმეფებდა გერმანია-პრუსიაში, და პირველი გზა ავირჩიე“. მაგრამ, სანამ ბისმარკს დაითხოვდა, იგი ცდილა უკანასკნელის შემწეობით „გამასწორებელ სახლების“ კანონდება გეტარებინა რეიხსტაგში სოციალდემოკრატების წინააღმდეგ. ჩვენი ულვაშ-აწკეპილი ვილჰელმი ცნობილი რეაქციონერია ევროპაში და სათათრეთის ხონთქარის აბდულ ჰამიდის თაყვანისმცემელი. ამის საბუთები უთვალავია ჰოჰენლოეს შენიშვნებში და აკი ისიც ამიტომ ფიცხობს.

**ა. ჩხენკელი.**

# რუსეთის ამბები

—

გაზეთ „სეგოდნია“-ს სიტყვით შინაგან საქმეთა სამინისტროში ხელახლა აღძრავთ კითხვა „დვორნიკების“ და შვეიცრებისთვის საარჩევნო უფლებების მინიჭების შესახებ—პეტერბურგში მათი რიცხვი 50—60 ათასამდე არის და ძალიან საიმედო ელემენტს წარმოადგენს მთავრობისათვის. „რუსთა კავშირი“ მეტ ნაწილათ მათშა პოულობს თურმე თავის წევრებს.

საზოგადო წრეებში პეტერბურგში გულმოდგინე აგიტაციას ეწევიან ამის შესახებ, რომ ყველა პროგრესიული ელემენტები შეერთდენ და საერთო კანდიდატთა სია შეიმუშაონ. მემარცხენეებს ორი დეპუტატის გაყვანის იმედი აქვთ.

გაზეთი „რუსი“ გადმოგვცემს, რომ სოციალისტურ პარტიათა შორის ის აზრი ტრიალებს, რომ დუმის დეპუტატათ წამოყენებული კანდიდატი, დღევანდელი პირობების მიხედვით, უკანასკნელ დრომდის დასახელებული არ უნდა იყოსო. ამ აზრს დაჟინებით ადგია „ბუნდი“ და სხვა ორგანიზაციები.

— კიევის გენერალ-გუბერნატორის ცირკულიარული მიწერილობა დაუგზავნია საარჩევნო კომისიებისათვის და უბრძანებს მათ, რომ თუ ცოტაოდენი ეჭვი მაინც შეგეპაროთ ამრჩევლების საარჩევნო უფლებაში, ისინი შეუმოწმებლათ ამოშალეთ სიებიდანაო.

— მინსკის გუბერნიის საარჩევნო კამპანიაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ერობის უფროსები. გუბერნატორის წინადადებით ისინი ესწრებიან სამმასახლისოების ყრილობებს, უხსნიან გლეხებს სენატის განმარტებას არჩევნების შესახებ და „ოკტომბრისტების“ მინდობილობით ავრცელებენ ხალხში მათ მოწოდება-პროკლამაციებს.

— პირველ ნოემბერს მინისტრთა თავმჯდომარეს სტოლიპინს თათბირზე კითხვა აუძრავს მთავრობის მომხრე რაზმების გაძლიერებაზე. საჭიროთ უცვნიათ ახალი კანონი გამოაქვეყნონ ზოგიერთ ჯგუფების მთავრობისაკენ მისაზიდათ. ამ საგნის შესახებ სტოლიპინი მოხსენებით ცარსკოე სელოში გამგზავრებულა.

— იუსტიციის მინისტრს წინადადება მიუცია ყველა ნაფიც ვექილებისა და მათ თანაშემწეთათვის, რომლებიც საარჩევნო სიებს ადგენენ, რომ მათ უარი განაცხადონ არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე.

**არჩევნები.** ნოემბრის ოც რიცხვებში პეტერბურგში შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის, კრიჟანოვსკის თავმჯდომარეობით გაიხსნება კრება, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება. კრებას მიზნათ ექნება საარჩევნო აგიტაციის გეგმის შემუშავება. ამ დროისთვის პეტერბურგში თავს მოიყრიან ყველა გუბერნიის უმაღლესი მოხელეები, რომლებიც კრებაში მონაწილეობას მიიღებენ და შეიმუშავებენ საარჩევნო კამპანიის გეგმას, რომლის სისრულეში მოყვანას შემდეგ გულმოდგინეთ შეუდგებიან.

**შინაგან საქმეთა სამინისტრო დიდათ შეწუხებულა** იმ გარემოებით, რომ შეაგუბერნიებიდან ცნობა მოდის გლეხების მღელვარების შესახებ, რომლებიც უკმაყოფილონი არიან საარჩევნო უფლებების შევიწროებით. არჩევნების დაწყების დროს დიდ არეულობას მოელიან; ამისათვის ეხლავე მიღებულია სასტიკი ზომები—გამრავლეს პოლიციის დაბალ მოხელეთა რიცხვი; ამასთანავე ადგილობრივ უფროსებს დაუგზავნეს სახელმძღვანელო ინსტრუქცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ მთავრობის წარმომადგენლები მეტის-მეტათ ერიდონ მღელვარების გამოწვევას, მაგრამ თუ ის მაინც მოხდა, მაშინ ყოველივე სასტიკი ზომა იხმარონ მის ჩასაქრობათო.

**სამხედრო-სამედიცინო აკადემიის სამუდამოთ გაუქმება.** სამხედრო სამედიცინო აკადემიის დახურვასთან ერთათ სამხედრო-სამინისტროს კითხვა აღუძრავს აკადემიის სამუდამოთ გაუქმების შესახებ. სამაგიეროთ პეტერბურგის უნივერსიტეტში დაარსებულ იქნება განსაკუთრებული სამედიცინო ფაკულტეტი.

**ალიაქოთი პოლტავის ქალაქის თვით-**

---

...ბინებდა წმინდა მოვალეობას, რომ ცხოვრების პატრონნი, შემქმნელნი და კანონმდებელნი ისინი უნდა იყვნენ. მაშინ ახალის ძლიერებით, თვალის წარმტაც ბრწყინვალებით წარმოდგა მათ წინ ახალი გამაერთებელი, ცხოველს მყოფელი სიტყვა:

— ამხანაგი!

სხვა ცბიერ სიტყვებში იგი გაისმოდა, როგორც სასიხარულო მახარობელი მომავლისა, ახალ ცხოვრებისა, რომელიც მომავალში ყველასთვის ერთნაირათ უნდა დადგეს. შორსაა თუ ახლოს იგი? ისინი გრძნობდენ, რომ ეს მათ ხელშია, იმათ შეეძლოთ დაახლოვებოდენ თავისუფლებას, ისინივე შორდებოდენ მას.

*
* *

მეძავ ქალს, რომელიც გუშინ მშიერი დადიოდა ტალახიან ქუჩებში და უცდიდა, თუ როდის გამოივლიდა ვინმე და მუშტრულათ იყიდდა იმის უნებურ ალერსს ორ გროშათ,—იმ მეძავ ქალსაც ესმოდა ეს სიტყვა, მაგრამ გონარეულათ იღიმებოდა და ვერ ბედავდა იმის გამეორებას. მას ახლოს გაუვლიდა კაცი, რომელსაც დღემდე არასოდეს არ შეხვედრია; უზრდელი მხარზე ხელებს დაადებდა დედაკაცს და დიდი ხნის ნაცნობივით ეუბნებოდა:

— ამხანაგო!

მასაც ეცინებოდა ჩუმათ, მორცხვათ და ეშინოდა, არ ეტირნა სიხარულისაგან, რომელიც დაჩაგრულ გულმა პირველათ გამოსცადა. მის თვალებში, რომლითაც გუშინ, ურცხვათ და გაუმაძღრათ, ცხოველივით ჩლუნგათ უყურებდა ქვეყანას, დღეს პირველათ ნაგრძნობ ნამდვილი სიყვარულის ცრემლები ბრწყინავდენ. ეს სიხარული—რომ უძლურნი შეუერთდენ მთელი ქვეყნის მშრომელთა დიად ლაშქარს—ბრწყინავდა ყველგან ქალაქის ქუჩებში და ქალაქის სახლების მიბნედილი თვალები უფრო და უფრო ცივათ და მკრთალათ ადევნებდენ მას თვალყურს.

მათხოვარსაც, გუშინ რომ სამოწყალოთ თითო კაპეიკს გადაუგდებდენ, თითო კაპეიკს, მაძღართა თანაგრძნობის ფასს, დღეს იმ მათხოვარსაც ესმოდა ეს სიტყვა, იგი იყო მისთვის პირველი მოწყალება, რომელიც საგრძნობლათ გაეხმაურა მის საწყალ დამჭკნარ გულს და სამადლობელო ყურჩული მოსტაცა.

მეეტლეს, სასაცილო ვაჟბატონს, გუშინ რომ ეტლზე მჯდომნი კისერში მუჯლუგუნს უთავაზებდენ, რომ მას ეს მუჯლუგუნი თავისი მშიერი, გამხმარ ცხენებისთვის გადაეცა,—ამ მრავალ გზით ნაცემს, ქუჩის ქვაფენილზე ბორბლების გრიალით გამოყრუებულს კაცსაც ესმოდა ეს სიტყვა, მანაც სიხარულით გაიღიმა და უთხრა გამვლელს:

— წაგიყვანო, თუ არა... ამხანაგო!.. თქვა და შეეშინდა. ლაგამი მაგრათ ჩაიჭირა ხელში, მზათ იყო საჩქაროთ გაქცეულიყო, თან გასცქეროდა გამვლელს და გაწითლებულ პირისახეზე სიხარულის ღიმი ვერ მოეშორა.

გამვლელმა კეთილის თვალებით შეხედა და თავის ქნევით უპასუხა:

— გმადლობ, ამხანაგო! ახლოს ვარ, მე თვითონ წავალ.

— ეჰ, შე მამაცხონებულო!..—ალტაცებით წამოიძახა მეეტლემ, კოფოზე ერთი შეტრიალდა, თვალები სიხარულისგან გაუბრწყინდა და საითღაც გრიალითა და ხმაურობით მიიმალა.

ქუჩებში ხალხი ჯგუფ-ჯგუფათ რომ იარებოდა მათშიც, ვით ნაპერწკალი უფროს ხშირათ, ენთებოდა დიადი, მთელი ქვეყნის გასაერთიანებელით მოწოდებული სიტყვა:

— ამხანაგო!

— ულვაშებიანი, დაღვრემილი პოლიციელი ქუჩაში მიუახლოვდა ერთ ჯგუფათ შეკრებილ ხალხს, რომელიც ერთი მოხუცი-ორატორის სიტყვას ისმენდა, ცოტა ხანს ყური წაუგდო ორატორს და შემდეგ ზანტათ ჩაილაპარაკა.

— შეკრება აკრძალულია... დაიშალეთ, ბატონებო...

ერთ წუთს გაჩუმდა, თავი ჩაქინდრა და ჩუმათ დაამატა:

— ამხანაგებო...

იმათ კი, რომელნიც ამ სიტყვას ატარებდენ თავიანთი გულით, რომელთაც ხორცი და სისხლი შეასხეს და სპილენძის მკვეთრი ხმა მისცეს მას ხალხის გასაერთიანებლათ მოსაწოდებლათ,—იმათ ბრწყინვალე პირისახეზე მედიდური ღიმილი უკრთოდათ, როგორც ახალი ცხოვრების ნორჩ შემოქმედებას; ყველასათვის ცხადი იყო, რომ ამოუშლელი, ამაუშრეტელი და დაუძლეველი იყო ის ძალა, რომელიც მათ ამ ცოცხალ სიტყვაში ჩაბერეს.

აქა-იქ დრო-გამოშვებით იკრიბებოდა შავი ბრბო შეიარაღებულ ადამიანთა; ეს—მჩაგვრელები აპირებდენ გალაშქრებას სიმართლის წინააღმდეგ.

უზარმაზარი ქალაქის ვიწრო ქუჩებში კი, ვიღაც უცნობ ხელების მიერ გაკეთებულ ცივ, უსიტყვო კედლებსა და კედლებ შუა, დღითი-დღე იზრდებოდა რწმენა ადამიანთა საყოველთაო ერთობისა და ძმობისა.

— ამხანაგებო!

აქა-იქ დრო და დრო აენთებოდა ნაპერწკალი, რომელიც შემდეგში ალათ უნდა გადაქცეულიყო, უნდა გადაქცეულიყო ცეცხლათ, რომელიც მოედება ქვეყანას და ყველას ჩააგონებს ერთმანეთის ნათესაობას, დასწვავს და მტვრათ აქცევს ბიწიერებას, შურს, სიძულვილს და დაუნდობლობას; გაელამუნება ადამიანთა გულებს და ერთ ლაშქრათ გააერთიანებს მათ—გაკეთილშობილებულ ადამიანთა, თავისუფალ მომუშავეთა ერთ ბრწყინვალე ლაშქრათ.

მონებისაგან შექმნილ შავი ქალაქის ქუჩებში, სადაც ბიწიერება გამეფებულიყო, დღითი დღე იზრდებოდა და ღრმავდებოდა რწმენა იმისა, რომ ადამიანი სძლევს თავის თავს და ქვეყნის ბიწიერებას.

ამ არეულ, შფოთიან, უსიხარულო ცხოვრების შუა მორევში, როგორც ბრწყინვალე ვარსკვლავი, მომავლისკენ გზის მაჩვენებელი ლამპარი, გამოკრთოდა უბრალო, მნიშვნელობით კი გულივით ღრმა სიტყვა.

— ამხანაგო! **იასამანი.**

**მართვილობაში.** ცნობილ სოციალდემოკრატს ანტონ სანდომირსკის, რომელიც შარშან ოქტომბერში ხელმძღვანელობდა რკინის გზის გაფიცვის საქმეს და რომელიც გადურჩა პოლიციელთა და ჟანდარმების დევნას დიმალვით, მგრამ დაუწრებლი დადგენილებით მაინც გადასახლებულ იქნა ნარიმკის მხარეში.

ჰოლტავის ქალაქის გამგეობისთვის განცხადეა გამოგზავნია ფოსტით, საარჩევნო სიაში შემიტანეთ დედაჩემისაგან შეცემულ ვექილობის ძალითო. ამ ამბავს საშინელი აღიაქოთი აუტეხია ქალაქის გამგეობაში.

**დამნაშავის ჩამოხრჩობა.** 2 ნოემბერს 1 ს. და 6 წ. მოსკოვში სისრულეში იქნა მოყვანილი სამხედრო-საველე სასამართლოს განჩინება მოსკოვის გრადონაჩალნიკის რეინბოტის მოკვლის განმზრახველის ჩამოხრჩობის შესახებ. ბომბის მსროლელი ჩამოახრჩვეს. სიკვდილის წინ დამნაშავეს ყურთა სმენა დაუბრუნდა, ასე რომ შესძლო გამოლაპარაკება და კითხვებზე პასუხის მიცემა. ის ემთხვია ჯვარს, რომელიც მღვდელს ეჭირა ხელში. თავის ვინაობის გამოცხადებაზე უარი განაცხადა, არც წერილის დატოვება მოისურვა მშობლებისა და ნათესავებისთვის. სანამ დამნაშავეს სასიკვდილოთ ამზადებდნენ, მას მტკიცეთ და ღირსეულათ ეჭირა თავი, რომელიც შეუდრეკლათ გაუძლო ჯალათისაგან განზადებულ ყულფში.

**გრაფი ვიტტე ახალ დანიშნულებას ლებულობს.** როგორც გაზეთი „რეჩი“ გადმოგვცემს, გრაფ ვიტტეს ელჩათ დანიშვნა პარიჟში კარგა ხანია გადაუწყვეტიათ უმაღლეს სფერაში.

**შეგირდისაგან თავის მოკვლა.** 31 ოქტომბერს ღამით, მოსკოვში, თავის ბინაზე თავი ჩამოუხრჩვია მესამე გიმნაზიის მესამე კლასის მოწაფეს კ. ტიხომიროვს. მიზეზი თავის ჩამოხრჩობისა ის გარემოება ყოფილა, რომ უმაწვილს ცუდი ნიშანი მიუღია ფრანგულ ენაში. უმაწვილმა ამაში საშინელი უსამართლობა დაინახა, რის გამოც შეტაკება მოუხდა სტეფანოვსთან. ტიხომიროვ, ბინაზე ღამით დაბრუნებულა, გაუშრია სამათ თავის ქამარი, გადაუბამს ერთმანერთზე და თავი ჩამოუხრჩვია.

## მ უ შ ა თ ა მ ო რ ი ს.

**ქ. ქუთაისი.** ორშაბათს, 6 ნოემბერს, ბეჟანა ასათიანის და ილარიონ პეიშვილის (ცსნი ორივე ამხანაგები არიან) სამკერვალოში გაიფიცენ მუშები და წარადგინეს ეკონომიური მოთხოვნილებები. უმთავრესათ მოითხოვენ ნაჭრობით მუშაობის მოსპობას და მის ნაცვლათ თვიურის შემოღებას, მოითხოვენ აგრეთვე 9 ს. სამუშაო დღეს.

დ. უ.

# უ ც ხ ო ე თ ი

**ინგლისი** ინგლისის ერთი გაზეთი იუწყება, რომ ლონდონში, ლივერპულში, გულში, მანჩესტერში და გლაზგოში მოხდა ანარქისტთა კრებები, რომლებზედაც მსჯელობა ქონებიათ საერთაშორისო ანარხიული ასოციაციის დაარსების შესახებ. ამ პროექტს საზოგადო თანაგრძნობა გამოუწვევია. ეს საკითხა წინეთ საფრანგეთის, ისპანიის, ბელგიის, ჰოლანდიის და გერმანიის ანარხისტთა წრეებშიაც იყო დასმული და ყველგან დიდი თანაგრძნობა გამოიწვია. გაზეთის სიტყვით საერთაშორისო ანარხისტთა ორგანიზაციის სახელით „წითელი ინტერნაციონალის“ დაარსება უკვე არსებულ ფაქტათ უნდა ჩაითვალოს; საჭიროა მხოლოდ თავისი სანქცია მისცეს ამ კითხვის შესახებ საერთაშორისო ანარხისტთა სიეზდმა, რომელიც მომავალ წელს შეიკრიბება ლიეჟში და ამოირჩევს კავშირის ბიუროს.

იმ საწინააღმდეგო პოზიციის დაჭერამ, რომელსაც ლორდები დაადგენ სასკოლო საქმეში, დიდი უკმაყოფილება და სასტიკი კრიტიკა გამოიწვია ლიბერალთა წრეებში. ლიბერალურ გაზეთებში ყოველ დღე ისტამბება ისეთი წერილები, რომლებიც მამართულია ლორდების წინააღმდეგ და ურჩევს მთავრობას ისარგებლოს კონფლიქტით და ზემო პალატაში რეფორმები მოახდინოს ან სავსებით გააუქმოს იგი. „ცხადზედ უცხადესია,“—სწერს ერთი მღვდელი—„რომ სანამ ლორდთა პალატის რეფორმა არ მოხდება ან სრულებით არ გაუქმდება იგი, მანამდის ხალხი ვერავითარ რეფორმას ვერ ეღირსება ვერც აგრარულ, ვერც სასკოლო და ვერც მუშათა საკითხის შესახებო“. მეორე კორესპონდენტი სწერს, რომ თუ ახლანდელი მთავრობა, რომელსაც პალატაში დიდი უმეტესობა აქვს, სამუდამოთ არ მოსპობს მემკვიდრეობითი პალატის კანონმდებლებს, ის გაუშვებს ისეთ შემთხვევას, რომელიც, შეიძლება ახლო ხანში აღარ გამეორდესო.

## წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთი „ტალღის“ საშუალებით, ჩვენი ულრმესი მადლობა გამოვუცხადოთ პატივცემულ ფოთის ქველმოქმედ საზოგადოებას, რომელმაც რედაქციის მიერ დაბარალებულ გურულების სასარგებლოთ. შეკრებილი ახადაისვა პატივცემულ პირების მიერ (ქ. ფოთში) 826 მან. და 87 კაპ. გადმოსცა „გურიაში დამწვართა დამხმარებელ ცენტრალურ კომისიას“. ამ თანხით და სხვა მოსალოდნელი შემოწირულებით ხაენებული კომისია იწყებს თავის მოქმედებას და იმედია—სხვასაც თუ ვინმეს აქვს შეკრებილი ან აწ ისურვებს მიმართავს თავისი დახმარებით მხოლოდ „დამწვართა დამხმარებელ ცენტრალურ კომისიას“, რომელიც არის მთელი გურიისათვის ამ მხრივ უმაღლესი და მთელი გურიის ხალხის მიერ არჩეული ორგანო გამგეობა დამწ. დამ. ცენ. კომისიისა გურიაში.

ადრესს „ტალღის“ რედაქციიდგან გაიგებს მსურველი.

# დ ე პ ე შ ე ბ ი

(პეტერბურ. დეპეშათა სააგენტო).

8 ნოემბერი

**სმოლენსკი.** კერძო ბინაზე მთავრობის ნება დაურთველათ კადეტების პარტიამ კრება გამართა. ჟანდარმები მივიდნენ კრებაზე, გადაწერეს ყველა იქ მყოფნი, მათ რიცხვში ბეგთალ-ინსპექტორის თანაშემწე რაკეევი, რეალურ სასწავლებლის მასწავლებელი პლეტნევი, სამისერთბო მოსამსახურე და დუმის ყოფილი წევრი კოსკოვი; დღეს რაკეევი სამსახურიდან დაითხოვეს. ქალაქის გამგეობას წინადადება მისცეს სამსახურიდან დაითხოვონ ყველა ის მოსამსახურენი, რომლებიც კადეტების პარტიას ეკუთვნიან. პლეტნევის მოქმედების შესახებ სამოსწავლებლო მთავრობას აცნობეს.

**პეტერბურგი.** კანონთა კრებულში შემდეგი უმაღლესი უქაზებია გამოცხადებული: პირველი, ეუბანის ოლქში სამხედრო წესების გამოცხადების შესახებ; მეორე—1905 წლის 29 დეკემბრის უქაზის მოქმედების გაგრძელების, აგრეთვე 1906 წლის 18, 20 და 23 მარტის და 25 აპრილის და არჩევნების დროს 1906 წლის 8 ივლისის უქაზების.

**პეტერბურგი.** ნ.ნ. კუტლერის წერილის გამო გაზეთ „რეჩ“-ში, სადაც ის აღნიშნავს, რომ კადეტების შუამდგომლობა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წინაშე მათთვის კლუბის გამართვის ნება მიეცათ უარყოფილ იქნა გაზეთი „როსია“-მ წერილი მოათავსა შემდეგი სათაურით: „პასუხი კითხვებზე“, სადაც თითქოს მუხლზე პასუხს აძლევს კუტლერს. პირველათ კუტლერი ირწმუნება, რომ მთავრობა ვერ იქცევა კარგათ, როცა მას სჯერა კადეტების რევოლიუციონერობა და პასუხის გებაში არ აძლევს მათ, მაგრამ გაზეთი ამბობს დაივიწყეს, რომ მთავრობა კადეტებს ისე უყურებს, როგორც რევოლიუციონერებს, მხოლოდ ვიბორგის ამბების შემდეგ: ყველა ისინი, რომლებმაც ვიბორგის მოწოდებას ხელი მოაწერეს პასუხის გებაში არიან მიცემულნი; მთავრობა გარკვევით არჩევს ოპოზიციონურ ჯგუფებს და რევოლიუციონერებს; ვიბორგის მოწოდებით კადეტებმა ნამდვილი რევოლიუციონერობა გამოიჩინეს. მთავრობას რომ ნება დაერთო კადეტებისთვის ლეგალურათ მოქმედების, ის ამით დაამტკიცებდა, რომ არსებითათ არაფერი წინააღმდეგი არა აქვს პარტიის რევოლიუციონურ მისწრაფების ან და მზათ არის დათმობის გზას დაადგეს; ასე მოიქცეოდა მხოლოდ სუსტი მთავრობა; მეორეთ კუტლერი გვარწმუნებს, რომ კადეტების კლუბი კანონის თანახმათ იმოქმედებსო, და თუ ეს ასეა მაშინ არავითარი საბუთი არ ექნებათ სხვა უკიდურეს პარტიებს უარი უთხრან, კანონი კი ამას თხოულობს, რომ კავშირება და საზოგადოებები არა მარტო კანონის თანახმათ უნდა იქცეოდნენ, არამედ მათი შეერთების მიზანი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონებს; მესამე—კადეტები ამბობენ, რომ კანონმა არ უნდა წაართვას მათ ყველასათვის მინიჭებული უფლებები კი მაგრამ თუ ყოველ მოქალაქეს შეუძლია კავშირების და საზოგადოებების დაარსება და კრებების გამართვა, მათი მიზანი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს; მეოთხე—კუტლერი ფიქრობს, რომ მთავრობას პრინციპიალურათ არავითარი სურვილი არა აქვს აასრულოს ხალხისაგან არჩეულების სურვილები, მაგრამ მთავრობას ხალხის წარმომადგენლების სურვილების ასრულების დროს არ შეუძლია კანონები დაარღვიოს! რას ქვია მაშინ თვითნებობა? მეხუთე—კუტლერს დავიწყებია, რომ როცა მასთან ლაპარაკი იყო სოციალისტების შესახებ, ეს ტერორისტებს შეეხებოდა, მას დავიწყებია აგრეთვე ისიც, რომ მან არ გაითვალისწინა კაბინეტის უფროსი, რომ საზოგადო პოლიტიკურ კითხვებზე ბაასს, მან გაზეთის ინტერვიუს სახე და თითქმის პარტიული ხასიათიც მისცა.

**ოდესა.** სტამბების ინსპექტორმა დაიჭირა ოდესის მშვიდობიან განახლების პარტიის მოწოდების 2000 ცალი.

**კიევი.** ჩიგირინის მაზრას სოფელ სუმბოტოვოში, თავს დაესხენ სვოლოსტო სამმართველოს, მოკლეს სტოროჟა, წაიღეს 1200 მ. ეჭვით სამი გლეხი დაიჭირეს.

**პეტერბურგი.** სათავად-აზნაურო და საგლეხო ბანკებმა 30 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე ნება დართო გლეხებისთვის 51 მამულა სივრცით 71,619 დესეტინა, გამყიდველების ფასი—8,262,311 მანათი ბანკის 5,569,750 მ. მთელი წლის განმავლობაში საგლეხო ბანკს უყიდია 1840 მამული, სივრცით 2,527,724 დესეტინა, 300,434,783 მანათათ.

**ჩერნიგოვი.** სადამოს თავს დაესხენ ჟანდარმთა პოდპოლკოვნიკ ივანენკოს, რომელიც მსუბუქათ დასჭრეს გულში. ბოროტ-გამზრახველი მიიმალა.

**ოდესა.** როგორც გამოირკვა, ბოქაულის თანაშემწის მკვლელი სამი ახალგაზდა, რომლებიც მოკლეს, ანარქისტ-კომუნისტები არიან. ერთი მათგანი გვარათ ზლოჩინსკი სამი კვირის წინათ ოდესიდან იყო გაძევებული გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით და თავის ნებით უკან დაბრუნდა.—ერთი მძარცველთაგანი, რომელიც რუსეთის საგაჭრო-სანაოსნო საზოგადოების მოარტყელს თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა, სამხედრო-საველე სამართალში მისცეს.—ცრენკის ბინაზე მივიდა სამი შეიარაღებული უცნობი და მოითხოვეს ფულები; რადგან მეზობლებმა ხმაურობა ასტეხეს მძარცველები გაიქცენ და გზათ გოროდოვოი დაჭრეს. ერთი მათგანი დაიჭირეს, ორი მიიმალა.

**პეტერბურგი.** საგლეხო ბანკმა 30 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე ნება დართო სესხას მიცემის 15,450 დესეტინა მიწის საყიდლათ; გასაყიდი ფასი—1,892159 მანათი, სესხი 1637,186 მ. მთელათ წლის განმავლობაში 116550 ოჯახს სულ უყიდია 646,800 დესეტინა მიწა. მაუდიათ სესხა 65,324,389 მანათი.

**მოსკოვი.** მოხდა თათბირი მოსკოვის გუბერნიის 17 ოქტომბრის კავშირის წარმომადგენლებისა. ალექსანდრე გუჩკოვმა თავის ვრცელ სიტყვაში ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა მთელი საზოგადოების შეერთება საზოგადო მტრის—მემარცხენე პარტიების—წინააღმდეგ საბრძოლველათო.

ბონაკერის ფაბრიკის კანტორაში მივიდა ექვსი შეიარაღებული უცნობი და კასიდან მოიტაცა 7000 მანეთი. ორი მათგანი დაიჭირეს; ერთ მათგანს სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის კასის სრული ანგარიში აღმოაჩნდა. გატაცებულ ფულებში 863 მანეთი იპოვნეს. დაჭერილები გლეხებია, დროვინი და პანშინი; ორივე სამხედრო საველე სამართალში მისცეს.—მშვიდობიან განახლების პარტიამ შეადგინა განსაკუთრებული ჯგუფი, სადაც ის პირები შედიან, რომლებიც სახელმწიფო სამსახურში არიან და ამიტომ ნება არა აქვთ პარტიის წევრობის და თანაგრძნობი კი არიან.

**უფა.** თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლმა შემდეგი საპასუხო დეპეშა მიიღო მინისტრ სტოლიპინისაგან: „გულით გმადლობ თავად-აზნაურთა კრებას თანაგრძნობისათვის, ღრმათ დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი უშველის რუსეთს; უფის თავად-აზნაურთა თანაგრძნობა იმით თავდება, რომ რუსეთის საუკეთესო ხალხი ირაზმება რევოლიუციის წინააღმდეგ და იმ გზათ წავლენ, რომელსაც უჩვენებს მათ ხელმწიფე იმპერატორი“.

**პეტერბურგი.** თერგის ოლქის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ქალაქში სამხედრო-საველე სასამართლო იწყებს მოქმედებას, კაზაკ ბელოკუროვის მოკვლის და გაძარცვის შესახებ.

**ვენა.** დეპუტატთა პალატამ მიიღო საარჩევნო კანონის პროექტის მუხლების მეხუთე რიგი და უარყო ცენტრის წინადადება სხვა და სხვა ოლქებმა ერთ დროს ხმის მიცემის.

**პორტსმუტი.** აჯანყებული მატროსები სამხედრო სამართალში მისცეს. საქმე ათ ნოემბერს გაირჩევა.

**ტულონი.** ფორ-შანტიეს საზოგადოების სამჭედლოებში ცეცხლისაგან ზარალი 2 მილიონ მანეთზე მეტი იქნება.

**ბერლინი.** „ლოიზე არმეიტს-ჰენდერ-ცაიტუნგი“ იტყობინება გამბურგიდან, რომ გემ „ბეროლინის“ თავს დაესხენ მეშ. სოციალ-დემოკრატები და საქონლის ნაწილი წყალში გადაყარეს. გაზეთი ემუქრება მუშებს მასიურ დათხოვნით.

**კოლნი.** „კელნიშე-ცაიტუნგი“ იტყობინება ბერლინიდან, რომ ნორვეგიას სურს წინადადება მისცეს ყველა სახელმწიფოებს და მათ რიცხვში რუსეთსაც ნეიტრალიტეტის შესახებ ხელშეკრულებაზე. ნამდვილი წყაროებიდან სჩანს, რომ გერმანიამ ძლიერ მოიწონა ეს წინადადება.

**ტულონი.** შეკომეზე დასვენის სადურგლო სახელოსნოში ცეცხლი გაჩნდა, რომელიც მთლათ მოედვა გემებს აშენებელ სახელოსნოს ფორ-შანტიეს ქარხანაში. ზარალი დიდია. ცეცხლის ჩასაქრობათ ენერგიული ზომები მიიღეს.

**ელისავეტგრადი.** სამხედრო-საველე სასამართლომ დახვრეტა გადაუწყვიტა მელნიკოვს და პოკუდიავს ქრივ მატუსევიჩის გაძარცვისთვის. თან სასამართლომ შუამდგომლობა აღძრა სასჯელი უვადო კატორღით შეუცვალონ.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატაში დიდი კამათის შემდეგ, დაადგინეს ბერრის წინადადება უთველ კვირეულ დასვენების კანონების შეცვლის შესახებ, კომისიას გადაეცეს.

**მადრიდი.** როგორც ამბობენ, საზღვაო მინისტრმა განაცხადა მინისტრთა თათბირზე, რომ ტანჟერში გაიგზავნება ჯავშნიანი გემი „პელაიო“ 500 ჯარის კაცით საფრანგეთის გემებთან შესაერთებლათ და უკეთუ საჭირო იქნება დახმარება ისპანიის ნაპირებზე მუიფა ინგლისის ესკადრაც წავა ტანჟერში. პირველი მტრული მოქმედება მაროკოელების მხრით იმას სიგნალი იქნება, რომ ყველა ეტხოეთის გემებიდან ჯარი გადასხან. საზღვაო მინისტრმა სთქვა, რომ ყველა სახელმწიფოები მაროკოს საქმეში შეთანხმებულნი არიანო.

**პოლტავა.** სოფელ ბელოცერკოვში თავს დაესხენ ვოლოსტის სამმართველოს. გაიტაცეს 1100 მანეთი. ეჭვით ორი დაიჭირეს.

**ვარშავა.** გუშინ სალამოს მილოვის ქუჩაზე თავი მოუყარეს რამოდენიმე ახალგაზდა ებრაელებმა; გამოჩნდა თუ არა პატრული, გაქცევა მოინდომეს. სალდათებმა დაუყვირეს „გაჩერდი“-თო, ებრაელები არ გაჩერდენ. სალდათებმა ესროლეს, ერთი მოკლეს და ორი დაჭრეს.

**კალუგა.** დეპუტატთა კრებამ გადასწყვიტა 7 დეკემბრამდე მოსთხოვონ თავაურუ'ოვს და ობინსკის პასუხი ვიბორგის მოწოდებაზე ხელის მოწერის შესახებ. 8 დეკემბერს თავად-აზნაურთა არა ჩვეულებრივი კრებაა დანიშნული.

**ბერლინის ცენტრმა** უარი სთქვა ნებარი დაუჭიროს პოლონელების ინტერპელაციას პოზნანში სკოლებში გაფიცვების შესახებ.

**პეტერბურგი.** მიშკინიდან, რიბინსკიდან და სხვა ვოლგის ნაპირებზე მდებარე ქალაქებიდან იტყობინებიან, რომ ვოლგაზე ყინვები დაიძრა. თოვლი დნება.

**კრემენჩუგი.** წინანდელ არჩევნებთან შედარებით საარჩევნო უფლებების მქონე ბინის დამქირავებელთა რიცხვმა ერთი ორათ იმატა, იმ მიზეზით, რომ წინანდელი წელი პოლიციის რეგისტრაციით შეიცვალა.

**პავლოგრადი.** მატარებელ ქვეშ ჩავარდა სატუსაღოს უფროსი კარამზინოვი. მიზეზი არ იციან.

**პეტერბურგი.** შვიდ ნოემბერს ოხტაში პლევოზე გაჩხრეკის დროს იპოვნეს 1000 პატრონა, უკვამლო თოფის წამალი, რევოლვერების პატრონები, 10 გაუტენავი ყუმბარა და მრავალი არალეგალური ლიტერატურა. დაიჭირეს, გეზპალოვი, ედუარ ტურონენი და ილმანსი.—სამხედრო მინისტრმა, ბრძანება გასცა სამხედრო აკადემიის გახსნის.

**კიევი.** საოლქოს სამხედრო სასამართლომ ექვთიმე და ნესტორ ბელენკის და ანდრია მარინიჩს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა და დანარჩენებს უვადო კატორღა, სოლოდოვიჩის მოკვლისა და ჟიტომირის მაზრაში შეიარაღებულ თავდასხმისათვის.

**ბუდაპეშტი.** პალატის საიურიდიულო კომისიაში განიხილეს პეტიცია ფეიერვერის კაბინეტის სამართალში მიცემის შესახებ. იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ ახლანდელი კაბინეტის შედგენა იმ პირობით მოხდა, რომ მთავრობამ თავს იდვა ნება არ მიეცა ტისსის და ფეიერვარის კაბინეთების სამართალში მიცემის.

**ტულონი.** ფორჟ-შანტიეს გემის აშენებელ ქარხანაში ცეცხლი ჩააქრეს. ქარხანა იძულებულია ზოგიერთი სამუშაოები შეაჩეროს.

**ჩერნიგოვი.** სალამოს დაეცენ ჟანდარმის პოდპოლკოვნიკს ივანენკოს. ბოროტ-მოქმედმა იგი დანით მსუბუქათ დასჭრა გულში და მიიმალა.

რედაქ.-გამომცემელი **ი. ოტიაშვილი.**


# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ

ამ მოკლე ხანში თფილისში გამოვა ყოველ-კვირეული გაზეთი

**„ახალი დროება“,**

რომელიც განსაკუთრებით მუშათა პროფესიონალურ მოძრაობის და კავშირების საქმეს წავს სამსახურს:

გაზეთის ფასი: თფილისში ერთი წლით—5 მ. ნახევარი წლით 2 მ. 50 კ.; სამი თვით 1 მ. 25 კ.; ერთი თვით 50 კ. თფილისს გარეთ რუსეთის საზღვრებში: ერთი წლით 6 მან.; სამი თვით 1 მ. 50 კ.; ერთი თვით 50 საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 8 მ.; ნახევარი წლით 4 მან.; სამი თვით 2 მან.; ერთი თვით 80 კაპ. ცალკე ნომერი ყოველგან ღირს 10 რედაქციის ადრესი: თფილისი. მიხაილოვის სამქტი, სახლი № 102.

## სკოლა და სახელოსნო

ჭრა-კერვისა და ხელსაქმისა

**ანა მერკვილაძისა**

იღებს ქალთა ტანისამოსს შესაკერათ, იყვანს შეგირდებს ჭრა-კერვის და ხელსაქმის შესასწავლათ ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებში.

მამადავითის ქუჩა, გრიგორაშვილის სახლებში, ბაღის პირდაპირ, № 37. (10—6).

წიგნების მაღაზია

## „განათლება“

**(ОБРАЗОВАНІЕ)**

მიხეილის ქ. № 78.

**ბეკკელი.** მსოფლიო გამოცანები . . . 80 კაპ.
**ა. გოფფმანი.** ათი მცნება და მდიდარი კლასები . . . . . 20 კაპ.
**გ. დიცგენი.** რელიგია სოციალ-დემოკრატისა . . . . . . 12 კაპ.
**ვ. გუმპლოვიჩი** ქორწინება და თავისუფალი სიყვარული . . . 8 კაპ.
**ფ. ლასსალი.** I, II, III სულ . 3 მ. 75 კაპ.
**ე. რენანი.** ცხოვრება იესოსი. . . . 35 კაპ.
**მისიკი.** თარგმანი კრილოვისა . . . 40 კაპ.
**ბებელი.** დედაკაცი და სოციალიზმი . . . . . . . . 75 კაპ.
**ტეპლოვი.** იაკუტის პროტესტის ისტორია . . . . . 1 მ. „ კაპ.
**ბლოხი.** ისტორია გერმანიის რევოლიუციისა . . . . . 1 მ. 20 კაპ.
**ვები.** თეორია და პრაქტიკა ტრედუნიონიზმისა 2 ტომი . 5 მ. „ კაპ.
**მარქსი.** კაპიტალი . . . . . . 2 მ. 50 კაპ.
**ტუნი.** ისტორია რუსეთის რევოლიუციისა. პლეხანოვის წინასიტყვაობით . . . . . . . 50 კაპ.
**მისიკი.** მუშათა კლასის მდგომარეობა უმთავრეს სახელმწიფოებში . . . . . . . . 1 მ. „ კაპ.
**კაუტსკი.** მარქსის ეკონომიური მოძღვრება (პოპულიარიზაცია) პირველი ტომი . 45 კაპ.—30 კაპ. მეორე და მესამე ტომები თითო . . . . . . . . . 35 კაპ.
და ბევრი სხვა ახალი წიგნები.

მაღაზია ყოველ კვირაში ღებულობს ახალ-ახალ წიგნებს რუსეთის სატახტო და სხვა ქალაქებიდან.

ჭიათურაში გაიხსნა

წიგნის მაღაზია

## „ს ხ ი ვ ი“

სადაც იყიდება საუმდროვო ახალი ქართულ-რუსული წიგნები, გაზეთები და საკანცელარიო ნივთები. (2—2)

კბილის ექიმი ივ. ახალშენიშვილი

იღებს ავათმყოფებს: დილის 9—2 და სალამოს 5—7. კვირა-უქმით 10—12. ნიკოლოზის ქ. № 14.

გ ა მ ო ვ ი დ ა დ ა ი ყ ი დ ე ბ ა

ახალი რუსული წიგნი

**Оглянемся назадъ**

უ ა რ ი ბ ი ს ა.

ფასი 20 კაპ.


ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ თფილისი, მიხეილის ქუჩა, № 65.